პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—35 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღიური

— პოლონეთში გლეხები თავს ესხმიან მემამულეებს.

— წყალდიდობამ ბელგიაში დაჰფარა დიდძალი ფაბრიკა-ქარხნები.

— საარჩევნო კამპანია ამერიკაში ფართოვდება, ბურჟუაზიული პარტიები მილიონებს ხარჯავენ აგიტაციისათვის.

— ვარშავში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ახალი ელჩი ამხ. ვოიკოვი.

— ჩინეთში სასტიკად დამარცხდა უ-პეი-ფუს არმია, რომლის შტაბი ტყვედ ჩავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 5 ნოემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 254 (1109)

საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის

როგორც გუშინ გვქონდა ცნობა გამოქვეყნებული, საბჭოების არჩევნები საქართველოში დასრულდება დეკემბერში; ამავე თვის უკანასკნელ რიცხვებში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა.

მენშევიკები და ყველა ჯურის რეაქციონერები სულ მუდამ იმას გაიძახიან, რომ თითქო საბჭოთა რეჟიმი ახშობდეს ხალხის ნებისყოფას. ისინი მოტრფიალე არიან იმ „დემოკრატიის", რომელსაც ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამას წინედ ჩვენ მოწმენი გავხდით „თავისუფალი" არჩევნებისა „დიდი დემოკრატიების" კლასიკურ ქვეყანაში—ინგლისში. ამ „თავისუფალი" არჩევნების შედეგად პროლეტარულ ინგლისს მოექცენ სათავეში ერთი მუჭა მუქთახორები და მძარცველები. ესაა ხალხის ნამდვილი ნებისყოფის წარმოუდგენელი ფალსიფიკაცია, რომელსაც ბურჟუაზიამ მიაღწია ფართე მასსების მოტყუილებით და ათასგვარი სხვა ფანდებით.

ასეთი „დემოკრატია" სხვებისთვის დაგვილოცნია. ჩვენ კი ვანხორციელებთ არა ფორმალურ, არამედ ჭეშმარიტ, საბჭოთა დემოკრატიას, საცა გაბატონებული არიან მშრომელნი ძირს, მარტო მშრომელნი. მხოლოდ ისინი მონაწილეობენ საბჭოთა არჩევნებში და სახელმწიფოს მმართველობაში. ყველა უსაქმური, პარაზიტი ელემენტები, მუშათა და გლეხთა დაუძინებელი მტრები განდევნილი არიან არჩევნებიდან და ქვეყნის მმართველობის საქმიდან.

მაგრამ განსხვავება საბჭოთა არჩევნებსა და დასავლეთის „დემოკრატიულ" არჩევნებს შორის ამით არ ამოიწურება. კაპიტალის ქვეყნებში გაბატონებული ჯგუფები აწყობენ ფორმალურ არჩევნებს რამოდენიმე წელიწადში ერთჯერ. ერთხელ არჩეული დეპუტატები სრულებით დამოუკიდებლად გრძნობენ თავს ამომრჩეველებისაგან მთელი წლების განმავლობაში, არაფერს ეკითხებიან მათ, ხოლო მოქმედებენ კი მათი სახელით. ჩვენში კი არჩევნები ხდება ყოველ წლიურად. მაშინ ხალხი გამოთქვამს თავის შეხედულებას და მოსაზრებებს, საბჭოთა წყობილებაზე, ხელისუფლების ღონისძიებებზე [illegible], აძლევს დეპუტატებს მომავალი მოქმედების პროგრამას, რომელიც მათ გადაუხვევლად უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

დეპუტატების დაქვემდებარება ხალხისადმი არ განისაზღვრება მარტო ყოველწლიური არჩევნებით. დეპუტატებს მუდმივი და მჭიდრო კავშირი აქვთ ამომრჩეველ მასსასთან, ხშირ-ხშირად უდგენენ მას თავისი მუშაობის ანგარიშს, ხშირ-ხშირად ხდება მათი მოქმედების შემოწმება და შეფასება.

თავისი შინაარსით საბჭოების მოღვაწეობა, თავის თავად ცხადია, სავსებით ემსახურება მშრომელ მასსების ინტერესებს, მათი მატერიალურ კეთილდღეობას და კულტურულ დონის ამაღლების საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია სწორედ ამ უმჭიდროესი კავშირით ხალხთან, რომელიც მას აქტიურად უჭერს მხარს. საბჭოთა წყობილება წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც უფართოეს გასაქანს აძლევს მასსის თვითმოქმედებას და ინიციატივას.

ამით აიხსნება, რომ, მიუხედავად აურაცხელი დაბრკოლებებისა, მეტად მნიშვნელოვან მიღწევებს გვაქვს საქმე ცხოვრების ყოველ დარგში. ამას ბრმაც ხედავს დღეს.

მომავალი საბჭოთა არჩევნები ერთხელ კიდევ დაადასტურებენ საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელობას. ამავე დროს ისინი მოგვცემენ საშუალებას უფრო მეტი მასსები ჩავაბათ აქტიურად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და მმართველობაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უპარტიოების მიზიდვას საბჭოში.

ფართე მასსის პოლიტიკური აქტივობა და შეგნება საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელ ხანებში. ამასთან იგი მთლიანად იცავს მუშურ-გლეხურ წყობილებას. ამისდამიხედვით აუცილებელია უპარტიოთა მშრომელთა მეტი რიცხვის გაყვანა საბჭოებსა და აღმასრულებელ ორგანოებში. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ იმ აზრისა, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეიძლება მარტო კომპარტიის წევრების საშუალებით. ამისათვის საჭიროა მთელი მშრომელი მასსის ამოძრავება. ჩვენ იმთავითვე ვადექით ამ გზას.

აგრეთვე დიდი მნიშვნელობის მქონეა მშრომელ ქალების ჩაბმა საბჭოებში. დღემდე მათში მონაწილეობს მუშა და გლეხ ქალთა ძალიან მცირე პროცენტი. მშრომელი ქალები უნდა გამოვიყვანოთ იმ უმოძრაობიდან, რომელიც ნაანდერძევია მთელი წარსულით; მშრომელ ქალებმა სავსებით უნდა გამოიყენონ ის უფლებები, რომლებსაც მათ საბჭოთა წყობილება ანიჭებს. ამისათვის უნდა შევქმნათ რეალური პირობები.

გადაწყვეტილია ადგილობრივი საბჭოების ფუნქციების და უფლებათა გაფართოება და ამ სფეროში მოსპობა „სამხედრო კომუნიზმის" პერიოდის ნაშთების. ეს მეტად შეუწყობს [illegible] ზრდას.

მაგრამ ეს გარემოება ჩვენ გვავალებს ფრთხილად მოვეკიდოთ სადეპუტატო კანდიდატების შერჩევის საკითხს.

ცხადია, რომ კერძოდ სოფლად „კულაკები" შეეცდებიან გაძვრომას საბჭოებში. ისინი ეკონომიურად გაძლიერებასთან ერთად ეპოტინებიან ძალაუფლებას. ჩვენ მათ საბჭოების ახლოსაც ვერ გავაჭაჭანებთ.

საბჭოებში უნდა იქნან არჩეულნი მშრომელთა ხელისუფლების მტკიცე დამცველნი, ამავე დროს აღმშენებლობითი მუშაობისათვის გამოსადეგი ელემენტები, რომელნიც შესძლებენ გლეხების და მუშათა კლასის კავშირის უფრო გაღრმავებას და ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში საკმაო ინიციატივის და ენერგიის გამოჩენას.

მდგომარეობა ჩინეთში

როგორც უკანასკნელი დეპეშები გვაუწყებენ, გენერალ ჩან-ძო-ლინმა დაამარცხა უ-პეი-ფუ, დაატყვევა 30,000 ათასი მისი ჯარის კაცი, ხელთ იგდო უამრავი სამხედრო მასალა და მთელი გენერალური შტაბი მოწინააღმდეგისა. ამნაირათ, თუ სწორია ეს ცნობა, სამხედრო ოპერაციები თუ სულ არ გათავებულა, ყოველშემთხვევაში უახლოვდება თავის დასასრულს.

ჩინეთში ბრძოლა სწარმოებდა ორი უმთავრესი ხაზით.

პირველი—სამხრეთ ჩინეთში, ინგლისელები, რომლებიც დიდი ხანია გამაგრებული არიან ქვანტუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ნავთსადგურ ჰონკონგში, ებრძვიან ქვანტუნის მთავრობას სუნ-იატ-სენის მეთაურობით. მათი მიზანია ამ პროვინციის უმთავრესი ქალაქის, უდიდესი სავაჭრო ცენტრის, კანტონის ხელში ჩაგდება და დამარცხება ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტიისა, „გომინდანის", რომლის ბელადია სუნ-იატ-სენი.

მეორე—ჩრდილოეთ ჩინეთში ბრძოლა სწარმოებს ორი პარტიის შორის. ერთია ჭილის პარტია რეაქციონერ გენერალ უ-პეი-ფუს მეთაურობით, მეორე—ფინტიენის პარტია გენერალ ჩან-ძო-ლინის ხელმძღვანელობით. პირველია აგენტურა ინგლის-ამერიკის კაპიტალის. მეორეა წარმომადგენელი იაპონიის კაპიტალის. [illegible] ბრძოლა სწარმოებს ჩინეთის უძლიერესი სავაჭრო ცენტრის, [illegible], ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ ცხადია საერთოთ საქმე შეეხება იმას, თუ ვინ გაბატონდება შუა და ჩრდილოეთ ჩინეთში: ინგლის-ამერიკის აგენტი,—უ-პეი-ფუ, თუ იაპონიის მსახური, ჩან-ძო-ლინი.

დღეს დღეობით გამარჯვება დარჩა ამ უკანასკნელს, რომელთან მეგობრულ განწყობილებაშია სუნ-იატ-სენი და რომელმაც ამას წინათ დამატებითი ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირთან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ.

არც ერთი ხსენებული პარტია არ არის გამომხატველი ჩინეთის მუშების ინტერესებისა. თვით გომინდანის პარტიაც, როგორც მთელი, შორს არის ამ ინტერესებისაგან. მხოლოთ მისი მემარცხენე ფრთა სუნ-იატ-სენის და ვან-ტინ-ვეის მეთაურობით ცდილობს დაუახლოვდეს მუშებს და თანაგრძნობით უყურებს მათ. მაგრამ ეს პარტია, როგორც მეთაური ჩინეთის ხალხის ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობისა, სარგებლობს იქაური კომუნისტების დახმარებით.

როგორც ცნობილია სამხრეთ ჩინეთში სუნ-იატ-სენმა გაიმარჯვა ინგლისის დახმარებით მის წინააღმდეგ ამბოხ ფაშისტებზე. ხოლო ჩან-ძო-ლინის გამარჯვება ჩრდილოეთში მომასწავებელია ისევ ინგლის-ამერიკის დამარცხების. ორივეს გამარჯვებანი ნიშნავს ჩინეთში გარეშე იმპერიალისტური ძალების გავლენის შესუსტებას, რადგან ჩან-ძო-ლინი თანდათან თავისუფლდება იაპონიის გავლენისაგან.

საერთოდ უკანასკნელი ამბები ჩინეთში, რამდენადაც ის გამომდინარეობს სამხედრო ოპერაციებიდან, მომასწავებელია ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების და იმპერიალისტების საერთო ოჯახის დასუსტების.

ძნელი სათქმელია, რამდენად ჰპოვებს ეს გამარჯვება ბრძოლის ასპარეზზე გამოხატულებას მომავალი მთავრობის შედგენის დროს. უკანასკნელი ცნობები იმის შესახებ, თითქოს დამარცხებული უ-პეი-ფუს წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას მთავრობაში—აძლევს გარკვეული აზრის შედგენას იმის შესახებ, რაც ხდება დღეს ჩან-ძო-ლინის გამარჯვების შემდეგ, როდესაც კითხვა დაისვა მთავრობის შემადგენლობაზე.

ყოველ შემთხვევაში აშკარად შეიძლება ითქვას ერთი რამ უკვე ახლავე: იმპერიალისტების გავლენა ძალზე შერყეულია ჩინეთში სამოქალაქო ომის შემდეგ და ეს აფართოებს ამხ. კარახანის სამოქმედო ასპარეზს. ცხადია ის ისეთივე მოხერხებით გამოიყენებს შექმნილ მდგომარეობას, როგორც ეს მას მოუხერხებია წინეთ უფრო ძნელ პირობებში.

ნ.

როგორ იცავენ მარტოვის მოწაფეები ქართველ მენშევიკებს

ავანტიურისტის ერთი თვისება ასეთია: როდესაც მის მიერ დაწყებული „საქმე" დამარცხდება და ის თვითონ კისერს მოიტეხს, მაშინვე გამოაცხადებს: „Я не я, лошадь не моя" ე. ი. მე არაფერ შუაში არა ვარო. დაახლოებით ამას ლაპარაკობენ ქართველი მენშევიკების მეგობრები უცხოეთში. საკმაოა გავახსენოთ ჩვენ მკითხველებს, რომ ასეთი ახსნა-განმარტება მისცა გერმანელ მენშევიკების გაზეთმა, „ფორვერტსმა" ქართველ მენშევიკების როლს აგვისტოს გამოსვლებში. ეს გამოსვლები მან გასაღა (მენშევიკების დამარცხების შემდეგ) პროვოკაციათ, ჩეკას მიერ მოწყობილათ. ამასვე იმეორებს რუს მენშევიკების (დანი დალინი, აბრამოვიჩი) ჟურნალი „Социалистический Вестник" წაიკითხეთ, როგორი „წილადობილათი" უმასპინძლდებიან ეს დავთარაბნეულები თავიანთ მკითხველებს ბერლინში:

„ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველი მენშევიკები აქეზებდნენ ხალხს აჯანყების მოსაწყობათ, არის საქმის ნამდვილი ვითარების შეგნებული დამახინჯება... ყველამ, ვინც გულდასმით და პატიოსნათ ადევნებდა თვალყურს მათ მოღვაწეობას, იცის, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში, ოკუპაციის დღიდან, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური დაწესებულებები და, განსაკუთრებით, პარტიის საზღვარგარეთელი ორგანოები, ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რომ შეეკავებიათ მასები აჯანყებისაგან. და, ახლა, მართლაც რომ გამოსულიყვნენ ქართველი მენშევიკები დაწყებული აჯანყების ორგანიზატორების როლში, იმ აჯანყების, რომლის სტიქიური აფეთქება თვით მათთვისაც მოულოდნელი იყო—ეს იქნებოდა მხოლოთ იმის მაჩვენებელი, რომ მათ ველარ გაუწიეს წინააღმდეგობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს და იძულებული შეიქნენ აჯანყებული მასსების ხელმძღვანელებათ გამოსულიყვნენ, რათა თავის ანაბარათ არ მიეტოვებათ ისინი"...

ასეთია დანისა და აბრამოვიჩის [illegible] ფილოსოფია". [illegible] რომ ეს ამბები გაიგეს, სთქვეს: მოდით, ბიჭებო, ნუ დაუტოვებთ ამდგარ ხალხს, გაუწიოთ მათ ხელმძღვანელობაო და ჩაუდგენ სათავეში აჯანყებულებს. სახელდახელოთ, 29 აგვისტოს, დაუძახეს კოტე ანდრონიკაშვილს, მოაწყობიეს პარიტეტული კომიტეტი და გაგზავნეს შიო მღვიმის მონასტერში იქიდან აჯანყების სახელმძღვანელოთ.

სულაც რომ არ დავსძრათ კრიტიკა „სასოწარკვეთილ ხალხზე" და „მასებზე რომლებიც ყურით არიან მოთრეული ამ „ამბავში",—ვინ არ იცის დღეს, რომ აქ „შეგნებულათ არის დამახინჯებული საქმის ნამდვილი ვითარება" და ფაქტები თავდაყირა გადატრიალებული. ვინ არ იცის ახლანდელობა, რას ამბობენ აჯანყების განგრძლივი მზადების შესახებ თვით პარიტეტული კომიტეტის წევრები (გაიხსენეთ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" განცხადება)? ვინ არ იცის იშანელის და სხვების ჩვენებიდან, როგორ ამზადებდნენ ისინი აჯანყებას და ეს არა მარტო საქართველოში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც, სადაც ეს ავანტიურისტები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თავის მსგავს მთიულელ ავანტიურისტებთან? ვის არ გაახსენდება დაბოლოს თვით ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი აჯანყების მოწყობის შესახებ? ვიმეორებთ, ვინ არ იცის ყოველივე ეს? რასაკვირველია, იცის ყველამ და ცხადია ეს საიდუმლოებას არ შეიცავს თვით დანისათვისაც. მაგრამ ვინ არ იცის ისიც რომ მენშევიკური ჟურნალის რედაქციაში სხედან იეზუიტები და მათ შორის რუს მენშევიკ-იეზუიტების მეფე, ფ. დანი, რომელსაც არ შესწევს არც ნიჭი და არც ჭკუა მისი მასწავლებლის, მარტოვის, რომ ასე ტლანქათ და სულელურათ არ მიკიბ-მოკიბოს აჯანყების ისტორია. მას ასულდგმულებს „კეთილი სურვილი" ქართველ მენშევიკებისადმი, მაგრამ ისე უმწიო, ულაზათოთ და სულელურათ ლაპარაკობს, ისეთი თეთრი ძაფებით არის ნაკერი მისი წილადობილა, რომ გარდა შერცხვენისა და ძხილებისა ის არაფერს მოუტანს მის პარიზელ მეგობრებს.

ამნაირათ „ხალხი" სტიქიურათ „აჯანყდა", რადგან ნაციონალურ შევიწროებას განიცდის ბოლშევიკებისაგან რაში გამოიხატება ეს შევიწროება?

„Социалистический Вестник" სწერს: „ნაციონალური შევიწროების პოლიტიკა იმაში კი არ მდგომარეობს რომ ოკუპანტების მიერ იდევნება ადგილობრივი ენა. (ხაზი ავტორისაა. სხვაგან ჩვენია. ქ.) პირიქით. როგორც საქართველოში, ისე „ინოროდცებისაგან" დასახლებულ ადგილებში, საბჭოთა კავშირის განაპირა ქვეყნებში, ბოლშევიკები აწარმოებენ, როგორც ცნობილია, ადგილობრივი ენების ფართო და განსაკუთრებული ენერგიით შემოღება-გამეფების პოლიტიკას (политику самого широкого и исключительнаго внедрения местных языков) მმართველობაში, სასამართლოში, სკოლაში და მთავრობის მონოპოლიურ პრესაში. მაგრამ ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლების ფართო საფუძვლის და ნამდვილი დემოკრატიული თვითმმართველობის გარეშე ნაციონალური ენების დაცვა იქცევა მხოლოდ ყველა ეროვნებათა გათიშვისა და დასუსტებისა საშუალებათ".

აი თურმე რაშია საქმე. მენშევიკები ვერ უარყოფენ, რომ ადგილობრივი ენების საკითხი გადაწყვეტილია. მაგრამ ბოლშევიკებს არა აქვთ „დემოკრატიული თვითმმართველობა". ე. ი. ისეთი, როგორიც მათ ჰქონდათ საქართველოში, სადაც იყვნენ წარმოდგენილი უმნიშვნელო მშრომელ ელემენტებთან ერთად მედუქნეები, სპეკულიანტები და საზოგადოთ ბურჟუაზია.

ბურჟუაზიის ალაგმვაში ე. ი. „დემოკრატიული თვითმმართველობის" მოსპობაში და მშრომელი კლასის გაბატონებაში მართლაც „დამნაშავე" არიან ბოლშევიკები. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ საიდან გამოაქსყრინა ავტორმა, რომ ეს არის მიზეზი მის მიერ გამოგონილ ეროვნულ შევიწროვებისა და ხალხის აჯანყების—ამაზე ის არასფერს ამბობს. ვერც იტყვის რამეს.

ერთი სიტყვით ქართველ ხალხს ბოლშევიკებმა წაართვეს მენშევიკების დროის „დემოკრატიული თვითმმართველობა" და „ხალხიც" აღსდგა „ოკუპანტების" წინააღმდეგ.

ხალხი, მართლა ნამდვილი ხალხი და არა ის, რომელიც აჯანყებას აწყობს ბატონი დანის ფანტაზიაში, იტყვის, რომ მთელი ეს აბდა-უბდა ერთი დიდი ცილისწამების ხუჭუჭა არის თავიდან ბოლომდე და სხვა არაფერი.

თავისუფალია ბ-ნი დანი უცქიროს და ისიამოვნოს ინგლისის [illegible] თვითმმართველობით [illegible] 75 პროცენტი [illegible] გაბატონებული არის ბურჟუაზია და არხეინათ გრძნობს თავს.

[illegible], რომ „უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიის (რუს სოციალ-დემოკრატიის) პოლიტიკა ბევრათ განსხვავდებოდა ქართველი ამხანაგების პოლიტიკისაგან". მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც უნდა დავიცვათ ეს ამხანაგებიო. და იცავს კიდევაც, მაგრამ ამ დაცვის დროს ხანდახან ის სიმართლესაც ამბობს აქ-იქ.

„საქართველოს დემოკრატია და განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატია ყოველთვის იბრძოდა საერთო რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის... თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო ბევრ ქართველ სოციალ-დემოკრატებისათვის მხოლოთ აუცილებელი მაგრამ დროებითი საშუალება, რომ ქვეყანა გადაერჩინათ ბოლშევიკების დამრღვეველი მუშაობისა და საშინელებისაგან"

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კერენსკის რუსეთში მენშევიკები იყვნენ უკიდურესი ცენტრალისტები, რადგან იქ იყო გამეფებული ბურჟუაზია და მისი „დემოკრატიული თვითმმართველობა". ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მათ გამოთიშეს ქართველი ხალხი რუსეთის სხვა ერებისა და მშრომელი ხალხებისაგან, ამიტომ რომ ამ რევოლიუციამ დასცა ბურჟუაზია და ბურჟუაზიული დემოკრატია.

რას ნიშნავს „დროებითი საშუალება"? იმას, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის" საკითხი არ არის (ასე აცხადებს ჟორდანიაც) პრინციპის საკითხი და რომ მოხდეს სასწაული, სასწაული კერენშჩინის დაბრუნებისა, ქართველი მენშევიკები იბრძოლებენ „საერთო რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის", იქნებიან კერენსკის რუსეთის ფარგლებში და [illegible] მას „რუსის ჯარს", თუ ეს დასჭირდებათ საერთო საქმისათვის საქართველოში.

აი რისთვის იბრძვის ჟორდანია და რისთვის აწყობინ ავანტიურას რუსი მენშევიკების დახმარებით.

ერთი სიტყვით მოეწყოს აჯანყება, დაიღვაროს სისხლი, აოხრდეს საქართველო—ოღონდ ნუ იქნებიან ბოლშევიკები.

მენშევიკები საქართველოს ბატონები, მენშევიკები და ესერები რუსეთის მბრძანებლები „დემოკრატიის" საფუძველზე, ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცების ნიადაგზე—რა ტკბილი სიზმარია ჟორდანია-კერენსკი-ლიბერდანებისა.

„საშინელია სიზმარი". მაგრამ მოწყალეა... სინამდვილე: პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა დიდ კავშირში და მით პატარა საბჭოთა საქართველოშიც.

ქ.

სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანები

რეზოლიუცია, მიღებული რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის მიერ

მთავარი ყურადღება სოფლის იაჩეიკებს.—თემების ბიუჯეტის, აგრონომიული დახმარების, მიწად-მოწყობის, მელიორაციის, სასამართლოს, სკოლების და ბიბლიოთეკების საკითხები.—სოფლად უნდა იგზავნებოდეს კომუნისტების საუკეთესო ძალები.—გაზეთები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდენ სოფელს.—სოფლად მომუშავე ინსტრუქტორების კადრი. საჭიროა ბრძოლა ადმინისტრატიულ თვითნებობასთან.—უპარტიო მშრომელთა ჩაბმა საბჭოთა აპარატში.

მოსკოვი. 4 ნოემბ. ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო სოფლად მუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ რ. კ. პ. ცეკას პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მუშაობის მნიშვნელოვანი მხარეები.

ხელმძღვანელობს რა 13-ე ყრილობის გადაწყვეტილებებით სოფლად მუშაობის შესახებ, რომლებშიაც აღნიშნულია ამ მუშაობის ყველა მნიშვნელოვანი მხარეები, როგორც მაგ. პარტიული და საბჭოთა აპარატი სოფლად, სასოფლო მეურნეობის აღორძინება, კოოპერაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები, ღარიბ გლეხთა ინტერესების დაცვა, გლეხკომები, სოფლის დაქირავებულ მუშების შეკავშირება და სოფლად პროფკავშირების მოღვაწეობის გაფართოება, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და ამ მუშაობაში სოფლის ინტელიგენციის ჩაბმა, მუშაობა ახალგაზრდობასა და გლეხ-ქალთა შორის, მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში,—ყველა ამ გადაწყვეტილებების მიხედვით და სოფლის მშრომელთა პოლიტიკურ აქტივობის ზრდით, რომელსაც ადგილი აქვს, პლენუმი საჭიროდ სცნობს მისცეს პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგი დამატებითი დავალებები:

ხელმძღვანელობის გაძლიერება.

1) გაძლიერებულ უნდა იქნას სასოფლო იაჩეიკების და სათემო კომიტეტების მუშაობის ხელმძღვანელობა. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად იაჩეიკების მუშაობის შინაარსს.

ყურადღება სოფლის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას.

[illegible] იაჩეიკები და სა[illegible] [illegible] პოლიტიკურ-[illegible] და გლეხთა [illegible] (სოფლის დაქირავებულ მუშებს და ღარიბ ფენებს შორის) პოლიტიკურ საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებთან ერთად, სათანადო ყურადღებას აქცევდენ სოფლის სამეურნეო და კულტურ. ცხოვრების საკითხებს და აგრეთვე სათემო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოოპერაციის და გლეხკომების მუშაობას. სათემო ბიუჯეტის საკითხი, აგრონომიული დახმარება, მიწათ მოწყობა, მელიორაცია, მესაქონლეობა, ადგილობრივი სასამართლო, სკოლები, ქოხი-სამკითხველოები, გაზეთების გავრცელება და კითხვა და სხვა ყოველდღიური საკითხები ამა თუ იმ მომენტის პირობების მიხედვით უნდა იდგენ პირველ რიგში სოფლის პარტიულ იაჩეიკების და სათემო და სარაიონო კომიტეტების მუშაობაში. მაგრამ ამავე დროს პარტიული ორგანოები არ უნდა კისრულობდენ საბჭოების, აღმასკომების და კოოპერატიული ორგანოების ფუნქციების შესრულებას.

სოფლად მუშაობის კომისიები

ამიტომ რ. კ. პ. ცეკასთან, საგუბერნიო, საოლქო კომიტეტებთან არსებული სოფლად მუშაობის კომისიების მოღვაწეობას სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს და შეძლებისდაგვარად ეს მუშაობა დაკავშირებული უნდა იქნას საერთო გეგმასთან. კომისიებმა უნდა იმუშაონ საოლქო და საგუბერნიო კომიტეტების მდივნის ან ბიუროს წევრის თავმჯდომარეობით.

სოფლის ცხოვრების გაშუქება

საჭიროა აგრეთვე „პრავდაში" და აგრეთვე ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში რეგულიარულად თავსდებოდეს პროვინციის განყოფილება. მოწონებულ იქნას კამპანია, რომელსაც აწარმოებენ „პრავდა" და აგრეთვე „ბედნოტა" და „კრესტიანსკაია გაზეტა". სოფლად პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის შესამოწმებლად მოწონებული იქნას ორკვირეულ ჟურნალის „დერევენსკი კომუნისტის" გამოცემა.

სოფლად პარტიული ორგანოების შემადგენლობა.

სოფლად ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ პირად შემადგენლობას და [illegible]

ძალების გაგზავნა სოფლად.

სოფელში მომზადებულ პარტიულ ძალების [illegible] მოითხოვს კომუნისტების სისტემატიურად გზავნას სოფლად. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვით გლეხთა წრიდან გამოსულ ახალ მუშაკების დაწინაურებას.

ახალი მუშაკების მომზადება.

პარტიულ ორგანიზაციების წინაშე დასმულია უდიდესი ამოცანა: გლეხთა ფენებიდან ახალი კომუნისტების აღზრდა და აგრეთვე უპარტიო გლეხთა—მოწინავე ძალების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოცანა.

ამიტომ საჭიროა: ყურადღება მიექცეს მაზრებში პარტიულ და სხვა სახის მუშაობის საწარმოებლად მუშაკების მომზადებას. ეს მომზადება უნდა განხორციელდეს მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკების მოსამზადებელ სკოლაში, რომელიც ცეკასთან არსებობს და სხვა საშუალებით.

საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებმა ზამთრის განმავლობაში უნდა მოაწყონ სხვადასხვა გასამეორებელი კურსები ან მოკლევადიანი სკოლები სათემო მდივნებისათვის, მიწის კომისიების მუშაკებისათვის, ახალგ. კომკავშირის შორის მომუშავეთათვის, გლეხ-ქალთა ორგანიზატორებისა, მასწავლებლებისათვის; და მათი სახით მომზადებული უნდა იქნენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო მუშაკები პირველ ყოვლისა თვით გლეხთა წრიდან.

პარტიულ კომიტეტებთან,—დაწყებული სამაზრო კომიტეტიდან და გათავებული ცეკათი,—ინსტრუქტორების შორის აუცილებლად უნდა იყონ მუშა-გლეხები და გლეხი-ქალები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კორესპონდენტებს, როგორც უპარტიოებს, ისე პარტიულებს, რომლებიც უნდა იქნან აღრიცხული სოფლად საპასუხისმგებლო მუშაობის დასაკისრებლად.

სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად.

გაიგზავნოს თემებში და მაზრებში ყველაზე უფრო პასუხისმგებელი მუშაკები—ცეკას, ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრები, სახალხო კომისრები, საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეები და საგუბერნიო კომიტეტების წევრები—ადგილებზე სამუშაოდ 2—3 თვის განმავლობაში.

[illegible] მუშაობის გაძლიერება და, კერძოთ, სოფლად პარტიული ორგანიზაციების პირადი შემადგენლობის მუშაობის გაძლიერება, მით უფრო საჭიროა, რომ ეკონომიურ განმტკიცებასთან ერთად იზრდება გლეხთა მთელი მასის პოლიტიკური აქტივობა. საერთოთ გლეხობის და, განსაკუთრებით, ღარიბ გლეხების პოლიტიკური აქტივობის ზრდა პარტიამ უნდა გამოიყენოს პირველ ყოვლისა საბჭოების, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მუშაობის გასაძლიერებლად.

სასოფლო საბჭოების მუშაობის გაცხოველება, რომელიც დაკავშირებულია საერთოთ საბჭოების მუშაობის გაცხოველების საკითხთან, წარმოადგენს მომენტის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე მომენტთაგანს.

გლეხობის ინიციატივის ზრდა.

საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება, საერთო პოლიტიკური პირობები ქვეყანაში შესაძლებლად და საჭიროდ ხდის რათა საბჭოებში გაძლიერდეს თვით გლეხობის უშუალო ინიციატივა და საბჭოების მუშაობაში ჩაბმული იქნეს უპარტიო გლეხობის რაც შეიძლება ფართე მასა. საბჭოების მუშაობის გაცხოველებით და განმტკიცებით პარტიის გარშემო უნდა შეიქმნას უპარტიო გლეხობის ფართო კადრები, რომლებიდანაც პარტია შეიმატებს ახალ ძალებს, რომელთა საშუალებით განმტკიცდება ჩვენი კავშირი გლეხობის ფართო მასასთან. თვით გლეხთა მასები უფრო უნდა დაუახლოვდენ საბჭოების მუშაობას, ამ ორგანოებში ისინი უნდა ხედავდენ თავიანთ უახლოეს ხელმძღვანელ ორგანოებს და ნამდვილად გააცხოველონ საბჭოების მუშაობა.

სათემო ბიუჯეტის [illegible] გამო სოფლის და სათემო საბჭოების უფლებების და მატერიალური შესაძლებლობის გაფართოება, სასოფლო მუშაკების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება შექმნის ისეთ პირობებს, როცა მართლაც გაფართოვდება მუშაობა სასოფლო საბჭოებში.

რევოლიუციონური კანონიერების დაცვა.

ამასთან ერთად საჭიროა, რათა სასტიკად იქნას დაცული რევოლიუციონური კანონიერება და სწარმოებდეს ბრძოლა ყოველგვარ ადმინისტრატიულ თვითნებობის, მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის და სხვათა წინააღმდეგ.

[illegible] უპარტიო [illegible] საბჭოთა შემადგენლობაში.

ყველაფერი ეს პარტიის წინაშე აყენებს შემდეგ ამოცანებს: საბჭოების და აღმასკომების არჩევნების დროს საჭიროა რაც შეიძლება მეტი უპარტიო გლეხების და გლეხ-ქალების გაყვანა, განსაკუთრებით ისეთების, რომელნიც ავტორიტეტით სარგებლობენ გლეხთა წრეში, უკეთ გამოხატავენ გლეხობის სულიერ განწყობილებას და რომელთაც შეუძლიათ გახდენ სასარგებლო მუშაკებად საბჭოებსა და აღმასკომებში.

რედაქციისაგან. რეზოლიუციის დასასრული არ მიგვიღია.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩვენი მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან განმტკიცდა

„ამერიკის ბურჟუაზიას მოსწყინდა ტყვილების თხზვა ჩვენზე"

რკინისგზელთა საერთაშორისო ყრილობას დაესწრო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელიც.—ინგლისთან დამყარებულია კულტურული კავშირი.—საფრანგეთის მთავრობამ ლენინგრადში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი საელჩოს შენობის მისაღებად.

ტყუილები არ გვეზრდებათ

ნიუ-იორკი. 3 ნოემბ. ნიუ-იორკის გაზეთი „ნიუ იორკ ამერიკენი" საბჭოთა კავშირზე მრავალ ცილისწამებათა შესახებ ამბობს შემდეგს: „შეიძლება საბჭოთა რუსეთმა ვერ განახორციელა გამგებლობის ახალი სისტემა, მაგრამ ამერიკელების ყალბი წარმოდგენა კი ეტყობა ძალიან განუვითარებია. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იმაზე უარესი [illegible]—თუ რასაც სწერენ ჩვენში საბჭოთა კავშირის შესახებ. ყველა იმ აჯანყებათაგან, რომლის ფინანსიურ დახმარებასაც მიაწერენ საბჭოთა კავშირს, მხოლოდ ნახევარს რომ დახმარებოდა ნამდვილათ, იგი უკვე აქამდის დიდი ხნის გაკოტრებული იქნებოდა საბჭოთა კავშირს რომ გამოეგზავნა მხოლოდ ნახევარი აგიტატორების იმ რაოდენობისა რომელშიაც მას ბრალსა სდებენ, მაშინ ეს აგიტატორები შემოდგომის ფოთლების სიუხვით დაგვეყრებოდენ თავზე. ზღაპრების მთელი ნიაღვარია შექმნილი და მოდებული ამერიკელ ხალხში. მაგალითად „იურისტთა კოოპერაცია" იუწყება, რომ საბჭოთა კავშირი ფინანსიურ დახმარებას უწევს საარჩევნო კამპანიაში ლაფოლეტს, რომელმაც ფარდა ახადა შინაგან საქმეთა მინისტრის ფოლის მექრთამეობას.

რეაქციონერების ფანტაზია მართლა უკიდურეს საზღვარს აღწევს, როცა ავრცელებენ ისეთ ცრუ ხმებს, თითქოს ბანკების გაძარცვა შთაგონებული იყოს მოსკოვის მიერ. შესანიშნავი ფანტაზიაა! მაგრამ იგი რატომ აღარ მიდის უფრო შორს? რატომ იგი მოსკოვს არ გახდის პასუხისმგებლათ ყოველგვარ ძარცვა-გლეჯაში?

რკინისგზელთა საერთაშორისო ყრილობაზე

მოსკოვი. 4 ნოემბერი. მოსკოვში დაბრუნდა გზათა სახალხო კომისარიატის დელეგაცია, რომელიც გაგზავნილი იყო რკინისგზათა საერთაშორისო ყრილობაზე პარიზში.

დელეგაციის წევრმა ამხ. სვერჩკოვმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ყრილობის მუშაობის შესახებ შემდეგი განცხადა: „ყრილობა გაიხსნა 15 ოქტომბერს. დაესწრენ 23 სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩვენი დელეგაცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყრილობის მუშაობაში და ყველა საკითხების გარშემო გამართულ კამათში.

ჩვენს დელეგაციას დიდი თანაგრძნობით შეხვდენ ყრილობის ორგანიზატორები. დელეგაცია გაეცნო საფრანგეთში ევროპის რკინისგზათა ტეხნიკის ახალ მიღწევებს; მან თავის მხრით გააცნო სხვა ქვეყნების რკინისგზების წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირის რკინისგზების მუშაობა".

საფრანგეთის საელჩოს შენობა

პარიზი 3 ნოემბერი. საფრანგეთის მთავრობამ დეპეშით აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ ლენინგრადში იგზავნება საფრანგეთის მისიის პირველი მდივანი რიგაში ჟან ლეოზი, რომელიც ჩაიბარებს საფრანგეთის საელჩოს შენობას.

მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან

ანგორა. ნოემბ. მეჯლისის გახსნაზე დიდი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ქემალ-ფაშა, რომელმაც განაცხადა: „ჩვენი დამოკიდებულება ჩვენ ძველ მეგობარ საბჭოთა კავშირთან დღითი დღე უფრო იზრდება და ქმნის იშვიათ მეგობრულ განწყობილებას. ჩვენი მთავრობა, როგორც წარსულში, ისე დღესაც თავის პოლიტიკურ ლოზუნგათ აყენებს ფართე და საუკეთესო დამოკიდებულებას საბჭოთა რესპუბლიკებთან".

ქემალის განცხადებამ გამოიწვია აღფრთოვანებული ტაში მთელ მეჯლისში.

კულტურული კავშირი ინგლისთან

მოსკოვი. 3 ნოემბ. ლონდონიდან ჩამოვიდა პოლოვცევა, რომელიც არის ორი საბჭოთა დაწესებულების: ჯანსახკომის და ცაკთან არსებულ გაერთიანებულ საინფორმაციო ბიუროს რწმუნებული ინგლისში. პოლოვცევა მოსკოვში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ შეუთანხმდეს იმ ორგანიზაციებს, რომლის წარმომადგენელი არის ის, კულტურულ-სამეცნიერო კავშირის განმტკიცების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

ოქტომბრის რევოლიუციისათვის

საფრანგეთის კომპარტიის დღესასწაული.

პარიზი, 3 ნოემბ. საფრანგეთის კომპარტია რუსეთის რევოლიუციის მეშვიდე წლის თავის გამო 9 ნოემბერს აწყობს დიდ მანიფესტაციას.

როგორ იდღესასწაულებს „მოქმედების კომიტეტი".

პარიზი, 3 ნოემბ. დოუესის გეგმის წინააღმდეგ მებრძოლმა „მოქმედების კომიტეტმა", რომელშიაც შედიან საფრანგეთის კომპარტია, შრომის გაერთიანებული კონფედერაცია, საფრანგეთის კომკავშირი, ბელგიის კომპარტია და ბელგიელ „შრომის რაინდთა" კავშირი,—დაადგინა ოქტომბრის რევოლიუციის მეშვიდე წლის თავის დღესასწაულის დღეებში საფრანგეთის და ბელგიის ყველა დიდ ქალაქებში მოაწყოს მიტინგები და მანიფესტაციები.

„მოქმედების კომიტეტს" განზრახვა აქვს ორი თვის განმავლობაში მოამზადოს სამრეწველო [illegible] ოლქო ყრილობები და [illegible] ყრილობა, რომელზედაც [illegible] იქნება საკითხები შრომის [illegible]ს, 8 საათის სამუშაო დღისა და უმუშევრობის შესახებ. [illegible] დახმარებას გაუწევს [illegible]შებს, ახალი მოწოდებით [illegible] ინგლისელ მუშებს, რომ [illegible] ილაშქრონ დოუესის გეგმის წინააღმდეგ და შეეცდება შეუთანხმდეს ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთას იმ მიზნით, რომ განხორციელებული იქნეს პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობა ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელ კონსერვატორების პროგრამა.

ლონდონი. 4 ნოემბ. ჯონსონ ხიქსმა, ბალდვინის კაბინეტის ყოფ. წევრმა, წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ინგლისის მომავალი კონსერვატიული მთავრობის პროგრამის ფუძეთ.

ხიქსმა განაცხადა, რომ საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც ნამდვილად გაუძლებს სახელმწიფოს. ინდოეთს უნდა მიეცეს ფართე უფლებები, მაგრამ პასუხისმგებლობა ინდოეთის საქმეებისათვის ინგლისის ხელში უნდა დარჩეს. მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ინდოეთში ადგილი არ დაურჩეს არავითარ გამოსვლებს ინგლისის ძალაუფლების წინააღმდეგ. ხიქსმა სხვათა შორის გამოსთქვა იმედი, რომ ყველა „არასასურველი" უცხოელები განდევნილი იქნებიან ინგლისიდან. უცხოელების დაშვება ინგლისში მოხდება არაჩვეულებრივი სიფრთხილით.

მთავრობა, ხიქსის სიტყვით არ უნდა იყოს რეაქციონური, მან უნდა გაატაროს სოციალური რეფორმები. საბინაო საკითხი უნდა მოგვარდეს. უმუშევრობასთან ბრძოლის ერთად ერთი საშუალება—ინგლისის ვაჭრობის აღდგენა.

ხიქსმა ილაპარაკა აგრეთვე ეკონომიის საჭიროებაზე და განაცხადა რომ გადასახადები შეძლებისდაგვარად შემცირებული იქნება.

ჩვენი წარმომადგენელი მექსიკაში

ნიუ-იორკი, 4 ნოემბ. ქ. მექსიკაში (მექსიკის სატახტო ქალაქია) ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პესტკოვსკი. მას დიდი ზეიმით შეხვდენ მთავრობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომუნისტების ჯგუფმა ამხ. პესტკოვსკის მხურვალე ოვაციები გაუმართა

ფინეთი და საბჭოთა კავშირი.

ჰელსინგფორსი. 4 ნოემბერი. ფინეთის მთავრობამ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას 500 ათასი ფინეთის მარკის კრედიტი გაუხსნა კარელიისათვის ცხენების შესაძენათ.

კონსერვატორების გამარჯვების შემდეგ

ინგლისის საქალაქო არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა.—„ბურჟუაზია ახალი იერიშებით მიდის მუშებზე".—საგარეო საქმეთა მინისტრად ასახელებენ სესილს.—ახალი მთავრობა ამ დღეებში შესდგება.

ახალი მთავრობის მოლოდინში

ლონდონი. 4 ნოემბერი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბალდვინი პარასკევს შესძლებს ახალი მთავრობის წევრთა სიის გამოქვეყნებას. ბალდვინის მომხრეთა განცხადებით, მას განზრახული აქვს შეადგინოს კაბინეტი ინგლისის ინტერესების მიხედვით მისაღებ პირებისაგან.

ბორდო. 4 ნოემბერი. „დეილი ჰერალდ"-ის ცნობებით, გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნება რობერტ სესილი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობით, ბრიტანეთის ახალი კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკა შეთანხმებული იქნება საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკასთან.

საქალაქო არჩევნები

ლონდონი 3 ნოემბ. ინგლისის 70 უმთავრეს ქალაქში არჩევნებში კონსერვატორებმა მოიგეს 50 ადგილი, დაჰკარგეს—42. მუშათა პარტიამ მოიგო 51 ადგილი, დაჰკარგა 81.

ნაუენი. 4 ნოემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, მუნიციპალურ არჩევნებში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. დღევანდლამდე არჩეულია 416 კონსერვატორი, 204—მუშათა პარტიის წევრი, 194 ლიბერალი და 128 უპარტიო.

ახალი იერიშები მუშებზე

ლონდონი. 3 ნოემბ. შესდგა პროფკავშირების რევოლიუციონურ უმცირესობის აღმასკომის პლენარული სხდომა ტომ მანის თავმჯდომარეობით. პლენუმმა მოისმინა სხვადასხვა დარგის წარმოებათა წარმომადგენლების მოხსენებები ორგანიზაციულ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონსერვატორების მიერ ხელისუფლების დაბრუნება ნიშნავს ახალ იერიშების განახლებას მუშათა კლასზე. მეორე მხრივ კი ლიბერალურ პარტიის დამარცხება, მუშათა პარტიაში უეჭველათ გამოიწვევს ლიბერალურ მიმართულების გაძლიერებას. მანიფესტი მოითხოვს ტრედუნიონების კონგრესისა და მუშათა პარტიის შეერთებული თათბირის მოწვევას. ამ თათბირმა უნდა განიხილოს მუშათა საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხი.

ჩინეთის ამბები

უ-პეი-ფუს არმიის განადგურება

უ-პეი-ფუ განადგურებულია.

ჰანოვერი, 4 ნოემბერი. ამერიკის პრესის მიერ შანხაიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, უ-პეი-ფუს არმია საბოლოოთ დაიშალა. პეკინის არმიიდან დარჩენილი ნაწილები გარბიან ტიან-ძინში, რომლის მოსახლეობა საშინლად დაფრთხალია. პეკინში შესდგა ჩინეთის ახალი კაბინეტი, რომელშიაც შედიან გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები; ეს უკანასკნელები არიან სამი მთავარი მებრძოლის ჩან-ძო-ლინის, უ-პეი-ფუს და ფინ-იუნ-სიანის წარმომადგენლები. პრემიერის განათლების და გზათა მინისტრების თანამდებობა დაეკისრება ვან-ფუს. გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრების თანამდებობაზე დანიშნულია დოქტორი ვანი,—ორივე ისინი გენერალ ფინ იუნსიანის მომხრეებია. ვან-ჟუან-ჩიანი—ჩან-ძო-ლინის მომხრე—დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრათ. სამხედრო მინისტრია—ლის-ხი-პენი, საზღვაო მინისტრია—ადმირალი ტუ-ში-კული, რომელიც გენერალ უ-პეი-ფუს მომხრეა. ახალ კაბინეტს მეტათ ძლიერათ სთვლიან, რადგან მას მეგობრული დამოკიდებულება აქვს იაპონიასთან.

პეკინი, 3 ნოემ. უ-პეი-ფუს არმია საშინლათ დამარცხდა შანხაიგუანთან. 30.000 კაცი ტყვეთ ჩაუვარდა. წაღებულია 100 ზარბაზანი, 80.000 თოფი და დიდ-ძალი სამხედრო სურსათ-სანოვაგე. არმიის დანარჩენი ნაწილები გაბნეულია და უწესრიგოთ უკან იხევენ. უ-პეი-ფუ ალყა შემორტყმულია [illegible]. მისი მ[illegible]ვარი შტაბი და ადიუტანტები ტყვეთ არიან ჩავარდნილი. ტიან-ცზინის აღებას მოელიან დღეს.



ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი
ვან-ჩენ-ტინი

პრეზიდენტმა ცაო-კუნმა უფლება აიყარა და თავისი მოვალეობანი გადასცა ახალ კაბინეტს. ვან-ჩენ-ტინგმა ოფიციალური ნოტით შეატყობინა ყველა საელჩოებს, რომ იგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი.

გაზეთები იუწყებიან, რომ სუნ-იატ-სენი ახლო მომავალში პეკინში ჩამოვა.

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

გახშირდა გლეხების თავდასხმა მემამულეებზე.—მთავრობამ ტერორი გააძლიერა.—გამოცხადებულია საალყო წესები.

გლეხები შურსა ძიებენ მჩაგვრელებზე.

ვარშავა. 3 ნოემბ. პოლონეთის განაპირა ოლქებიდან იუწყებიან, რომ პარტიზანული მოძრაობა უფრო და უფრო იზრდება. მემამულეებზე თავდასხმის შემთხვევები გახშირდა. პარტიზანების გამოსვლა იღებს ნამდვილ გლეხური მოძრაობის ხასიათს მემამულეების წინააღმდეგ. პარტიზანები სწვავენ მემამულეთა სახლ-კარს, მიჰყავთ საქონელი და იტაცებენ ქირნახულს. მრავალ ადგილას ისინი აცხადებენ, რომ შურსა ძიობენ მემამულეებზე მათგან მიღებულ შეურაცხყოფისათვის. ლუცინეცის მაზრის ერთ მამულში პარტიზანებმა მოახდინეს მამულის მოურავის ოსინოვსკის გასამართლება გლეხებისადმი მკაცრად მოპყრობისათვის და მიუსაჯეს დახვრეტა.

თეთრი ტერორი.

ვარშავა. 3 ნოემბ. პარტიზანული მოძრაობის განვითარებასთან ერთად ძლიერდება ტერორიც პოლონური ადმინისტრაციის მხრივ. ვილენშჩინაში მოეწყო პოლიციის რაზმი, რომელიც შეიარაღებულია ტყვიისმფრქვევლებით. საბჭოთა საზღვარზე პოლიციელები შეცვლილია სანაპირო რაზმით. მრავალ ადგილას ხდება მასსიური ჩხრეკა დამალულ იარაღის აღმოსაჩენად.

ეს საქმეს ვერ უშველის.

ვარშავა. 3 ნოემბ. ამას წინეთ ლუნიცკის მაზრაში მატარებელზე დაცემის გამო რკინისგზის მახლობელ ყველა სოფლებში გლეხებს აკრძალული აქვთ სახლიდან გამოსვლა საღამოს 6 საათიდან დილის 7 საათამდის.

წითელი ფიცის დღე

საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანება

მოსკოვი. 4 ნოემბერი. 1924 წ. 3 ნოემბერი. 7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის მუშების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების მეშვიდე წლის თავზე, 1902 წელში დაბადებულ სამხედრო ვალდებულებმა, რომლებიც შედიან წითელ-არმიის და წითელ ფლოტის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უნდა მიიღონ წითელი ფიცი. ფიცის უდიდესი მნიშვნელობა უნდა ესმოდეს თვითეულ წითელარმიელსა და სამხედრო მეზღვაურს. ამიტომ ფიცს იღებენ ის მხედრები, რომლებმაც ჯარში გაწვევის მომენტიდან ნოემბრამდე სავსებით შეიგნეს წითელი არმიის და წითელი ფლოტის მიზანი და მნიშვნელობა და თავისი ვალდებულებანი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე.

1902 წ. დაბად. გაწვეულ სამხედრო პირების ის ნაწილი, რომელიც იმყოფება არმიის და ფლოტის რიგებში, მხოლოდ უკანასკნელ კვირეების განმავლობაში და რომელთაც ვერ მოასწრეს საჭირო სამხედრო ცოდნის მიღება, მიიღებენ ფიცს 1925 წ. 1 მაისს.

წითელი ფიცის მიღების დროს, როგორც წარსულ წლებში, ყველგან გაიმართება საზეიმო აღლუმები მუშების და გლეხების დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად. მშრომელთა, საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების, მუშათა და გლეხთა ხელმძღვანელის—კომუნისტურ პარტიის, პროფესიონალურ კავშირების და მუშათა და გლეხთა სხვა ორგანიზაციების წინაშე, წითელი მეომრები შეგნებულად დარწმუნებით და მტკიცედ განაცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ყოველგვარი საშუალებით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან მშრომელთა ხელისუფლება შეიარაღებულ ექსპლოატატორების, ყოფილ მემამულეების, ბანკირების და მათ მოსამსახურე დაქირავებულ დამქაშების თავდასხმისაგან.

დეე, 7 ნოემბერს წითელი არმიის და წითელი ფლოტის ახალგაზრდა მეომრების კავშირი მშრომლებთან გახდეს მტკიცე და შეურყეველი.

დეე, ახალგაზრდა მეომრებმა ღირსეულად განაგრძონ იმ გმირთა საქმე, რომლებიც დაიღუპენ სხვადასხვა ფრონტებზე მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

საბჭ. კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე
ტროცკი.

პროფკავშირების მეექვსე ყრილობის ამოცანები

ამხ. ტომსკის მოხსენება

მოსკოვი. 4 ნოემბ. პროფკავშირთა მოსკოვის ყრილობაზე სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტომსკიმ განაცხადა, რომ მიუხედავად ინდივიდუალური წევრობის შემოღებისა, ჩვენს პროფკავშირებში წევრთა რაოდენობა არ შემცირებულა, პირიქით, უკანასკნელ წელს კიდეც გაიზარდა. ჩვენს მთავარ ამოცანას წარმოადგენს მჭიდრო კავშირის დაჭერა მასებთან და მათი ჩაბმა კავშირების მუშაობაში.

ჩვენ ამ ამოცანის განხორციელებას წარმატებით შევუდგით. ამ საკითხის სიმძიმის ცენტრი, როგორც ლენინი ამბობდა, არის დაბალი საფეხურის ორგანიზაციებში. ჩვენს წინაშე დასმულ ორგანიზაციულ საკითხების გადაჭრა უნდა ვეძიოთ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში.

უნდა აღინიშნოს ერთი საფრთხე, რომელიც ემუქრება პროფესიონალურ მოძრაობას. ეს არის პროფესიონალური ბიუროკრატია; ჩვენში შეიძლება შეიქმნეს პროფესიონალური მოხელეობა, ჩვენ ძირიან ფესვიანად აღმოფხვრით ამ მოვლენას.

ერთი უმთავრეს საკითხთაგანი არის სამუშაო ხელფასის საკითხი. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ სამუშაო ხელფასის შემდეგ ზრდას მრეწველობა ვერ აიტანს. მუშების ეკონომიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის ნაყოფიერების გადიდებაზე.

ამხ. ტომსკი ეხება მსოფლიო პროფმოძრაობის პერსპექტივებს, ბრძოლის ერთიანი ფრონტისათვის და აღნიშნავს, რომ მომავალ ყრილობაზე ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლების დასწრება უსათუოდ დააახლოვებს მუშათა კლასის ორ ძლიერ რაზმს: ინგლისისა და რუსეთისას. მათი დასწრებით საძირკველი ეყრება ნამდვილ მთლიანობას მთელი მსოფლიოს პროფესიონალურ მოძრაობაში.

წითელ დედაქალაქებში

რუსეთი

სახალხო მსახიობი ქალები.

მოსკოვი. 4 ნოემბ. სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის ასი წლის იუბილეს გამო, საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ რესპუბლიკის სახალხო მსახიობის სახელი მიანიჭა მსახიობ ეკატერინე კონსტანტინეს ასულს ლეშკოვსკაიას და გლიკერია ნიკოლოზის ასულს ფედოტოვას.

მუშფაკების ქსელი.

მოსკოვი 4 ნოემ. საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ საბოლოოდ გამოარკვია საბჭოთა რუსეთის მუშფაკთა ქსელი. 63 მუშფაკი რჩება სახელმწიფოს ბიუჯეტზე, ორი—ადგილობრივ ბიუჯეტში, 16 იხურება.

მარილი.

მოსკოვი. 4 ნოემბ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ახალი დაკლებული ფასები მარილზე. აუცილებლად არის ცნობილი, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ ყოველგან მონაწილეობა მიიღოს მარილის გაყიდვაში. კერძო ვაჭრებს მარილი მიეცემა განსაზღვრული რაოდენობით, რომელსაც აწესებს ადგილობრივ შინა-ვაჭრობის კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

საქართველოს კომპარტიის სოხუმის სამაზრო კომიტეტი.

სოხუმი. 3 ნოემბ. სოხუმის მაზრის დაარსების გამო ეწყობა საქართველოს კომპარტიის სოხუმის სამაზრო კომიტეტი.

საქალაქო პარტკონფერენცია.

სოხუმი. 3 ნოემბ. ახლო მომავალში გაიმართება საქალაქო პარტკონფერენცია. მოსამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად მაზრა დაყოფილია სამ რაიონად: დრანდის, მერხეულის და სოხუმის, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ყველა ქალაქის და სოფლის იაჩეიკები.

პარტიაში [illegible] მიღება

სოხუმი. 3 ნოემ. გუშინდელ საქალაქო პარტიულ კრებაზე მიღებულ იქნა პარტიის წევრად 40 კანდიდატი. კანდიდატებათ—20.

მუშკორთა დასაცავად

(საუბარი იუსტ. სახ. კომ. ამხ. ვარძიელთან)

სოფლის კორესპონდენტთა და მუშკორთა გახშირებულ დევნის გამო, ამხ. ვარძიელმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ეს მოვლენა წარმოშვა სოფლად და ქალაქად შექმნილმა ახალმა ეკონომიურმა პირობებმა.

სოფლის კორესპონდენტთა და მუშკორთა წინააღმდეგ მოქმედობს უმთავრესად კულაკური ელემენტი და ნეპმანი, რომელიც შემძვრალია სამეურნეო ორგანოებში. მათ ძალიან ეშინიათ პრესის ამ ახალი მუშაკების, რადგან ამ უკანასკნელთ მიზანში აქვთ ამოღებული ამ ელემენტების ბნელი საქმიანობის.

საბჭოთა რუსეთში დევნამ მიიღო ფიზიკური ძალმომრეობის ხასიათი, ჩვენში ასეთ დევნას ადგილი არა აქვს, მაგრამ იგი მაინც იჩენს თავს სხვადასხვა სახით. მუშკორთა დევნას აწარმოებენ ჩვენი საზოგადოების ისეთი ფენები, რომელთაც თავის ბუნებით, აღზრდით და ფსიქოლოგიით, ვერ შერიგებიან მუშათა კლასის წინსვლას და წარმატებას, რომლის შეფერხებას აშკარად თუ ფარულად ისინი ცდილობენ. პრესის ახალი მუშაკების დევნა მუშების მიმართ მათი სიძულვილის გამოაშკარავების ერთი ფორმათაგანია.

მუშკორთა დევნის ასეთი სისტემის გატარება სახელმწიფოს წინაშე აყენებს საკითხს მუშკორთა ინტერესების დაცვის შესახებ, რომელიც უნდა გამოიხატოს ალბად სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტულ მუხლის შეტანით.

საქართველოს იუსტ. სახ კომმა უკვე ამ სამი თვის წინად გადადგა სათანადო ნაბიჯები მუშკორებთან ერთად შეთანხმებული მუშაობის საწარმოებლად. საპროკურორო ზედამხედველების ორგანოებს გაეგზავნათ ცირკულიარული განკარგულება იმის შესახებ, რომ პროკურორები ფხიზლად ადევნებდენ თვალყურს მუშკორთა ხმას და მათ მიერ აღძრულ საქმეებს აძლევდენ სათანადო მსვლელობას. ეს განკარგულება ტარდება ცენტრში და ადგილებზე და იძლევა საგულისხმო კონკრეტიულ შედეგებს.—საბჭოთა კანონმდებლობა დადგა მუშკორთა და სოფლის კორესპონდენტთა ინტერესების კოდექსის განსაზღვრული მუხლებით დაცვის აუცილებლობის წინაშე.

კერძოთ საქარ. იუსტიციის მუშაკნი მიიღებენ, როგორც კონკრეტიულ ასე საერთო ხასიათის ზომებს, რომ დაიცვან ჩვენი მუშა კორესპონდენტები ნეპმანური და კულაკური ელემენტების კონტრ-რევოლიუციონურ თავდასხმისაგან.

ოქტომბრის ზეიმისათვის

დღესასწაულის ჩატარების გეგმა

6 ნოემბერს

საღამოს: თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა სახელმწიფო ოპერაში. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და წითელარმიის ნაწილების წარმომადგენელთა თანა დასწრებით.

მუშათა, წითელარმიელთა და კომკავშირთა კლუბებში მოეწყობა საღამოები.

დასაწყისი კლუბის გამგეობათა გადაწყვეტილების მიხედვით.

7 ნოემბერს

დილით: ფიცის მიღება საზეიმოდ და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების აღლუმი მუშების და კომკავშირლების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საღამოს: წარმოდგენები, კონცერტები და თვითმოქმედების საღამოები მუშათა, წითელარმიელთა და კომკავშირელთა კლუბებში.

ყველა კინოებში: უფასო კინო-სეანსები. პირველი სეანსის დასაწყისი საღამოს 6 ნახევარ საათზე.

8 ნოემბერს

დილით: 1) სპარტაკელების დილა.

2) თბილისის ფიზიკური-კულტურული წრეების წევრთა და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების სპორტიული გამოსვლები.

საღამოს: წარმოდგენები, კონცერტები და თვითმოქმედების საღამოები მუშათა, წითელარმიელთა და კომკავშირელთა კლუბებში.

9 ნოემბერს

საღამოს: წარმოდგენები, კონცერტები და თვითმოქმედების საღამოები მუშათა, წითელარმიელთა და კომკავშირელთა კლუბებში.

საღამოების მოწყობის წესი

მუშათა, კომკავშირელთა კლუბებში და ქ. თბილისის თეატრებში.

ლენინის რაიონი

1. პლეხანოვის სახელობის თეატრი-კლუბი.

7 ნოემბერს: წარმოდგენა „ლენინი და ოქტომბერი" რუსულ ენაზე; წარმოდგენას მართავს პროლეტკულტის წითელი თეატრის მმოძრავი სექტორი, ქართულ ენაზე—პლეხანოვის სახელობის კლუბის წრე.

8 ნოემბერს: წარმოდგენა „ზორი" ([illegible]), რომელსაც მართავს პროლეტკულტის წითელი თეატრის ქართული სექტორი.

2. **ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი.** 7 ნოემბერს: კლუბის ქართული წრის წარმოდგენა და „ლენინი და ოქტომბერი" რუსულ ენაზე; წარმოდგენას სდგამს პროლეტკულტის წითელი თეატრის მმოძრავი სექტორი.

3. **რკინისგზის სავადმყოფოს კლუბი.** 7 ნოემბერს. საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

4. **ა. ლ. ქ. კ. კლუბი.** 7 ნოემბერი: საღამო ქართულ ენაზე.

5. **ზაჰესის კლუბი (ზემო-ავჭალა).** 7 ნოემბერს: ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის წრის წარმოდგენა ქართულ ენაზე

6. **გზათა განყოფილების მე-6 უბნის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

არსენალის რაიონი

1. **პროლეტკულტის წითელი თეატრი (ყოფ. სახალხო სახლი).** 7 ნოემბერს: ქართული სექტორის წარმოდგენა „აჩრდილი დასტრიალებს ევროპას". 8 ნოემბერს: სომხური სექტორის წარმოდგენა „ოქტომბერი" (ჯონ რიდის რომანის მიხედვით). 9 ნოემბერს: რუსული სექტორის წარმოდგენა „წითელი ოქტომბერი".

2. **მუშათა ცენტრალური კლუბი.** 7 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის რუსული სექტორის წარმოდგენა „წითელი ოქტომბერი": 8 ნოემბერს: თვითმოქმედების საღამო რუსულ ენაზე. 9 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის ქართული სექტორის წარმოდგენა „ზორი" ([illegible]).

3. **ამხ. ზოდრიშვილის სახელობის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო და საზეიმო სხდომა წითელარმიელებთან ერთად ქართულ ენაზე. 8 ნოემბერს საღამო რუსულ ენაზე და სპარტაკელების დილა: 9 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის მოძრავი სექტორის წარმოდგენა „ლენინი და ოქტომბერი" და „ცოცხალი დიაგრამები".

4. **ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კლუბი.** 7 ნოემბერს საზეიმო სხდომა წითელარმიელებთან ერთად და საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

5. **არსენალის კლუბი ამხ. ძნელაძის სახელობისა.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე წითელარმიელებთან ერთად. 8 ნოემბერს: კინო.

6. **ავლალის აუდიტორია.** 7 ნოემბერს: კლუბის გახსნა და საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: ამიერ-კავკასიის კომ. უნივ. რუსული წრის წარმოდგენა „ლენინი და ოქტომბერი".

7. **ა. ლ. ქ. კ. კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი.

1. **ავლაბრის კლუბი.** 7 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის სომხური სექტორის წარმოდგენა „ოქტომბერი" (ჯონ რიდის რომანის მიხედვით). 8 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის მმოძრავი სექტორის წარმოდგენა „ლენინი და ოქტომბერი" და „ცოცხალი დიაგრამები" რუსულ ენაზე. 9 ნოემბერს. ა. ლ. ქ. კ. საღამო.

2 **მეტყავეთა კლუბი.** 6. ნოემბერს: მოგონებათა საღამო წითელარმიელებთან ერთად და კონცერტი ქართულ ენაზე. 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 8 ნოემბერს: სპარტაკელების დილა და საღამო ქართულ ენაზე. 9 ნოემბერს: საღამო სომხურ ენაზე.

3. **არამიანცის ყოფ. სავადმყოფოს კლუბი.** 6—7 ნოემბერს: საღამო წითელარმიელებთან ერთად რუსულ ენაზე. 7 ნოემბერს: საღამო რუსულ და ქართულ ენებზე. 8 ნოემბერს: საღამო სომხურ ენაზე და კინო. 9 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

4. **რკინისგზელთა კლუბი ამხ. ორახელაშვილის სახელობისა (ნავთლუღი)** 6 ნოემბერს: ამხ. ლენინის ძეგლის გახსნა და საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 9 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

5. **[illegible] კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო წითელარმიელებთან ერთად ქართულ და რუსულ ენებზე.

ქალაქის რაიონი

1. **ა. ლ. ქ. კ. კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და სომხურ ენებზე. 8 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 9 ნოემბერს: საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

2. **მეტრამვეთა კლუბი. (სიონის ქუჩაზე).** 7 ნოემბერს; საღამო წითელარმიელებთან ერთად ქართულ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე,

3. **ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო თურქულ ენაზე. 8 ნოემბერს: საღამო თურქულ ენაზე. 9 ნოემბერს: მუსლიმან ქალთა კლუბის საღამო.

4. **სახალხო კავშირის კლუბი.** 9 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

5 **სახალხო განათლების კლუბი** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

6. **სამშენებლო დარგის მუშების კლუბი.** საღამო ქართულ და ასურულ ენებზე.

7. **ცენტრალურ პარტიულ სკოლის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

8. **სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის კლუბი.** 7 ნოემბერს საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

9. **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

10. **ქართული მუშფაკი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

11. **რუსული მუშფაკი.** 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე.

12. **სახელმწიფო კონსერვატორია.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

13. **ქართული დივიზიის წითელარმიელთა კლუბი (ყოფ. მცირე თეატრი).** 6 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე.

14. **ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კლუბი.** 7 ნოემბერს: საზეიმო სხდომა წითელარმიელებთან ერთად და კინო. 8 ნოემბერს: საღამო წითელარმიელებთან ერთად ქართულ და რუსულ ენებზე. 9 ნოემბერს: საღამო პიონერებთან ერთად ქართულ და რუსულ ენებზე.

15. **საბურთალოს კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე. 8 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 9 ნოემბერს: პიონერთა საღამო.

16. **კარლ მარქსის სახელობის კლუბი ქალაქის ფურნესთან.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: კინო.

17. **ტრანსპორტზე მომუშავეთა კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 8 ნოემბერს: კინო. 9 ნოემბერს: პროლეტკულტის წითელი თეატრის სომხური სექტორის წარმოდგენა—„ოქტომბერი" (ჯონ რიდის რომანის მიხედვით).

18. **ქარხანა „თემქა"-ს კლუბი.** 8 ნოემბერს: საღამო ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

19. **ვერის კლუბი.** 8 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე. 9 ნოემბერს, პიონერთა საღამო.

20. **ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე.

21. **[illegible] კლუბი.** 8 ნოემბერს: საღამო ქართულ და რუსულ ენებზე. 9 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე.

22. **ცეცხლის მქრობელ რაზმის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 8 ნოემბერს: ქალთა საღამო. 9 ნოემბერს: პიონერთა საღამო.

23. **საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 8 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

24. **ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კლუბი.** 7 ნოემბერს: საღამო რუსულ ენაზე. 8 ნოემბერს: საღამო სომხურ და თურქულ ენებზე. 9 ნოემბერს: საღამო ქართულ ენაზე.

25. **[illegible] თეატრი.** [illegible] ნოემბერს: წარმოდგენა „ლენინი და ოქტომბერი" და საკონცერტო განყოფილება რუსულ ენაზე.

ქალ. თბილისის ფიზკულტურის წრეების წევრთა და კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილების სპორტ-გამოსვლების

წესრიგი

8 ნოემბერს

პირველი (ლენინის) და **მეორე** (არსენალის) რაიონების სპორტ-გამოსვლები გაიმართება ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე (ანდრეევის და ფეიერვერკის ქუჩების კუთხე); დასაწყისი დილის 11 საათზე.

მესამე (ავლაბარ-ხარფუხის) რაიონის სპორტ-გამოსვლები გაიმართება მე-9 პოლკის მოედანზე. დასაწყისი 11 საათზე.

მეოთხე (ქალაქის რაიონის) რაიონის სპორტ-გამოსვლები გაიმართება ფიზკულტურის თბილისის საბჭოს მოედანზე (ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზო). დასაწყისი 10 საათზე.

შესვლა ყველა სპორტ-გამოსვლებზე თავისუფალია.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა სენაკში

19 ოქტომბერს ქალაქ სენაკში შესდგა გაერთიანებული პარტიული კრება—ქ. ახ. სენაკის, თეკლათის, ძონძირ-ისულის თემების და არსებულ მეექვსე ლეგიონის წითელარმიელებისა, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე კომკავშირის წევრებიც. კრებაზე სულ იყო 250 კაცი.

დღის წესრიგში იდგა საკითხი მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ერ. შალამბერიძემ, რომელმაც დაახასიათა მენშევიკების პოლიტიკური მუშაობა ევროპაში და საქართველოში, მათი კავშირი ყაჩაღებთან, თავად-აზნაურებთან, ყოფილ ოფიცრობასთან და სამღვდელოებასთან. მენშევიკურმა პარტიამ, რომელიც იარაღით ხელში გამოვიდა მშრომელ გლეხობის და მუშების წინააღმდეგ, განიცადა სამარცხვინო კრახი. ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიის ოქროებმა ვერ შესძლო დაეპყრო ძალა-უფლება საქართველოში. მუშები და გლეხები დარაზმული გამოვიდნენ ქურდ ბაცაცების და ბანდიტების წინააღმდეგ და ორი დღის განმავლობაში ეს „სახალხო აჯანყება" ჩაქრობილ იქნა.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ქ. ახ.-სენაკის, თეკლათის და ძონძირ-ისულის თემების კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. შალამბერიძისა მენშევიკური ავანტიურის შესახებ, აღიარებს, რომ მენშევიკებმა თავისი გამოსვლებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლებიც გაერთიანებული ფრონტით მოქმედებდნენ თავად-აზნაურებთან, ოფიცრობასთან, ვაჭრებთან და მღვდლებთან—საბოლოოთ დაამტკიცეს, რომ ისინი არიან მუშების და გლეხების მტერნი რომ ისინი არიან ევროპის ბურჟუაზიის მოსყიდული აგენტები, რომლებიც სცდილობენ ლახვარი ჩასცან მუშურ-გლეხურ მთავრობას და აღადგინონ ფეოდალურ-ბურჟუაზიული წესწყობილება.

რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა ავანგარდმა კომუნისტურმა პარტიამ, გამოვიდა რა სამოქალაქო ომში გამარჯვებული როგორც შიგნით კონტრ-რევოლიუციისაგან, ისე გარეთ ინტერვენციისაგან, 1921 წელში სავსებით გაათავისუფლა თავისი მოძმე ქართველი გლეხი და მუშა მენშევიკების ბატონობისაგან.

საზღვარ-გარეთ გაქცეულ მენშევიკებმა თავი შეაფარეს ლლოიდ ჯორჯს, პუანკარეს და ყველა ჯურის რეაქციონერებს. მოაწყვეს რა ავანტიურა მენშევიკებმა ევროპის ბურჟუაზიის კარნახით, იგემეს საბოლოვო განადგურება როგორც პოლიტიკურათ, ისე ფიზიკურად.

კრება აღიარებს, რომ ის მომავალშიაც მედგრად დაიცავს წითელ კომუნისტურ დროშას და უკანასკნელის სისხლის წვეთამდე შეებრძოლება ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციას—როგორც შიგნით, ისე გარეთ.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

ე. შალ—ძე.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

საქართველოს პიონერთა კომორგანიზაციის ცენტრ. საბჭოს პლენუმი

მესამე სხდომა

პლენუმი ამტკიცებს თეზისებს სოციალური აღზრდის მომავალი მუშაობისათვის.

მუშაობა სოფლად

(მომხსენებელი ამხ. თ. გაბარაშვილი)

მომხსენებელს, იაქცევს რა პლენუმის ყურადღებას მე-13 ყრილობის და კომკავშირთა ყრილობის დადგენილებებს სოფლად მუშაობის შესახებ, ბავშვთა კომმოძრაობის გასაცხოველებლად სოფლებში აუცილებლად მიაჩნია: კოლექტივების დაარსება, მიღებულ გამოცდილების მიხედვით; კოლლექტივებში ულარიბესი გლეხის შვილების ჩაბმა; პიონერთა ჰასაკის მოჯამაგირეთა დარაზმვა კოლლექტივებში და განსაკუთრებით გლეხის გოგონათა მიზიდვა ამ ორგანიზაციებში; სოფლად მომუშავე ხელმძღვანელების მომზადება, მათთვის კურსების გახსნის საშუალებით და სისტემატიურ თათბირების მოწყობით მუშაობის პროცესში; სოფლის ინტელიგენციის გამოყენება ბავშვთა კომორგანიზაციებში სამუშაოდ. ყველა ამ ამოცანების გასატარებლად მომხსენებელი საჭიროდ სცნობს პირველ ხანებში დაარსდეს ბავშვთა კოლლექტივები ისეთ სოფლებში, სადაც ძლიერი არიან კომპარტიის და კომკავშირის უჯრედები, რომელნიც გაუწევენ კოლლექტივებს ხელმძღვანელობას. ამისათვის კი აუცილებელია ბავშვთა კომმოძრაობის პოპულარიზაცია, რომელიც სოფლად მომუშავე ამხანაგებს მისცემს, ნათელ წარმოდგენას ბავშვთა მოძრაობაზე. ბავშვთა მოძრაობამ რომ სოფლად ფეხი მოიკიდოს, აუცილებელია მუშაობა შეუფარდეს გლეხების ყოფა ცხოვრებას, კოლლექტივები უნდა ჩაებან კულტ და პოლიტ მუშაობაში, ცხოველი მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულებსა და კამპანიებში და აგრეთვე სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში. დასასრულ მომხსენებელი საჭიროდ სცნობს ქალაქის და სოფლის კოლლექტივების მტკიცედ დაკავშირებას.

ბავშვთა კომორგანიზაციის მუშაკთა მოსამზადებლად წამოყენებულ იქნა ამხ. ა. მდივნის მიერ პროგრამა, რომლის ცხოვრებაში გატარება დაევალა პრეზიდიუმს.

პლენუმის სხდომა დასრულდა 2 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.

ამიერ-კავ. გეგმათა სამმართველოში

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

ა|კ. გეგმათა სამმართველომ მიიღო რა მხედველობაში, რომ ა|კავკასიის წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს სახნისების ადგილობრივი საჭიროება, აგრეთვე ის, რომ საბჭოთა კავშირს ამ ჟამად არ შეუძლიან მიაწოდოს ა|კავკასიის სახნისები, რომელიც შეეფერება ადგილობრივ პირობებს, დაადგინა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ა|კავკასიის წარმომადგენლის შუამდგომლობას საბჭოთა კავშირის საგ. ვაჭ. სახ. კომის. წინაშე—იმის შესახებ, რათა უცხოეთიდან გამოწერილი იქნეს „საკკ"-ის და „ეკერტი"-ს სისტემის 2.200 ცალი სახნისები თავის მარქაფა ნაწილებით. სასურველად იქნა ცნობილი, რომ გამოწერილ იქნეს რაც შეიძლება მეტი მარქაფა ნაწილები.

ამასთანავე გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა დაავალა სავაჭრო-სამრეწველო სექციის მიიღოს ზომები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ადგილობრივი წარმოების შესასწავლად და იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია ამ წარმოების აღორძინება, და არის თუ არა პირობები მის განსავითარებლად.

ნავთის პროდუქტების გატანა,

გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა დაადგინა აკრძალოს ყველას ნავთის სინდიკატის და მის ორგანიზაციებს გარდა, ა|კავკასიის საზღვრებს გარეთ ყოველგვარი თავის პროდუქტების გატანა.

ცნობები საკონიუნქტურო მიმოხილვისათვის.

ა|კ. გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში შეიტანა წინადადება, რათა საბჭომ გამოიტანოს დადგენილება, რომელიც დაავალდებულებს ყველა ორგანოებს ხელმძღვანელთა საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ წარადგინონ ცნობები საკონიუნქტურო მიმოხილვისათვის მტკიცე დაწესებულ ვადაზე.

სარენტო გადასახადის შესახებ

შარშან, 12 ნოემბერს რ. ს. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ორგანომ გამოსცა მეტად საყურადღებო დეკრეტი სარენტო გადასახადის შემოღების შესახებ ქალაქებში მდებარე და ტრანსპორტზე გადაცემულ მიწებზე. ხოლო ამა წლის ოქტომბრის თვეში ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სათანადო ორგანომ დაადგინა ეს დეკრეტი გავრცელებულ იქნას ამიერ-კავკასიაზედაც. ამის მიხედვით, საქართველო ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამა წელს 15 ოქტომბრიდან, სარენტო გადასახადი შემოღებულ იქნება საქ. რესპუბლიკის და მის ავტონომიურ რესპუბლიკების მაზრა-ქალაქებში, რისთვისაც აღმასკომებთან არსდება შესაფერი კომისიები ხსენებ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

სარენტო გადასახადი ჯერ-ჯერობით ეხება მხოლოდ იმ მიწებს, რომლებიც ქალაქის ფარგლებშია, მაზრებში კი იმ მიწებს, რომლებითაც სარგებლობს ტრანსპორტი — რკინის გზა, წყალთა უწყება და სხვა.

მომავლისათვის განზრახულია ეს დეკრეტი გავრცელდეს მაზრების სასოფლო მეურნეობის მნიშვნელობის მიწებზედაც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სარენტო გადასახადი შემდეგში დაიკავებს თვალსაჩინო ადგილს გადასახადთა სისტემაში. ის ძლიერ ხელს შეუწყობს არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს გაფართოებას, არამედ ადგილობრივ ბიუჯეტსაც გააძლიერებს და ამით მისცემს საშუალებას ჩვენს ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც მეტად შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობას განიცდიან, ფართოდ აწარმოონ მრავალი წამოწყებანი სახალხო კულტურის და ეკონომიკის დარგში. ძირითადი გადასახადი, დეკრეტის აზრით, შედის სახელმწიფოს ხაზინაში, დამატებითი სარენტო გადასახადი ადგილობრივ ფინგანყოფილებაში.

შეიძლება ბევრს ჭკუაში არ დაუჯდეს ასეთი გადასახადი და სთქვას, რომელ სარენტო გადასახადზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ სახელმწიფოში, სადაც კერძო საკუთრება მიწაზე მოსპობილია, როგორ შეიძლება მოითხოვოს არა მესაკუთრეს რენტა, მას შეიძლება გადახდეს მიწის იჯარა, ან დაიბეგროს თვით მეურნეობა, როგორც ეს გატარებულია მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში. შეიძლება ქალაქის და სოფლის ვაჭრობაზე დაწესებულ იქნას სამრეწველო, სარეწაო, პროგრესიული შემოსავლის მიხედვით და სხვადასხვა გადასახადი, ბეგარა და ბაჟები და არავითარ შემთხვევაში რენტა. თუ ქალაქში შემოღებული იქნა სარენტო გადასახადი, ეს იძულებული ვიქნებით საიჯარო კანონზე და ბინების მოწესრიგებაზე ხელი ავიღოთ — სოფლებში კი მიწის სოციალიზაციის პრინციპიც უარვყოთ. ან როგორ შეიძლება გადასახადების უნიფიკაციის დროს, რაც მიზნათ აქვს დასახული საბჭოთა ხელისუფლებას (უნიფიკაცია—ყველა გადასახადების ერთ მთლიან გადასახადზე დაყენება) კიდევ ახალი გადასახადის შემოღება. ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ამგვარი კრიტიკა და იძულებული ვართ მას ყოველმხრივ შევეხოთ.

ამ კრიტიკის უსაფუძვლობის ნათელსაყოფად საკმარისია გავითვალისწინოთ, თუ რას წარმოადგენს ან რა არის თავისთავად რენტა.

თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიური მეცნიერება განსაკუთრებით მარქსისტული მოძღვრება—რენტად სთვლის იმ დამატებითი შემოსავალს, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი იმ მოგების გარეშე, რასაც ის იღებს თავის მიერ დახარჯულ კაპიტალზე და შრომაზე. რომ უფრო გასაგები იყოს მკითხველისათვის ეს განმარტება, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს. წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოს გაჰყავს რკინის გზა და ის ხვდება სადმე უმნიშვნელო ადგილს და იქ შენდება სადგური. რა ლაპარაკია საჭირო, რომ ამ ახლად გახსნილ სადგურთან მდებარე მიწის ფასი უხვად მატულობს. გინდათ იყიდოთ ის მიწა თუ იჯარით აიღოთ სულ ერთია—შედარებაც არ შეიძლება ამ მიწის ფასის მის წინანდელ, სადგურის აგებამდე ფასთან. მიწის პატრონს, როგორც ხედავთ, არავითარი შრომა არ გაუწევია, არავითარი კაპიტალი არ დაუხარჯავს. მიუხედავათ ამისა, ის დიდ მოგებას იღებს. აი სწორეთ ამგვარ ხასიათის მოგებას ეწოდება რენტა. კაპიტალისტური წყობილება სხვა წინააღმდეგობასთან ერთად ასეთ შეუსაბამობასაც შეიცავს. ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო აკეთებს საქმეს, ხარჯავს შრომას და კაპიტალს, და აგერ კერძო კაციკი, რომელსაც ხელი არ გაუნძრევია, მოგებას ითვლის და ისაკუთრებს. სწორეთ ასეთ შეუსაბამობის წინააღმდეგ არის მიმართული არა მარტო სარენტო გადასახადის დეკრეტი, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მთელი კანონმდებლობა. მიწაზედ კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფით არა თუ არ ეკარგება საფუძველი სარენტო გადასახადს, პირიქით—ამ გადასახადის შემოღება აუცილებელიც ხდება. თუ დღეს კერძო საკუთრება მიწაზე არ არსებობს, სამაგიეროთ არსებობს მასზედ მთელი სახელმწიფოს საკუთრება. როგორ შეიძლება მშრომელთა სახელმწიფომ, რომელიც სრული ბატონ-პატრონია მიწის, არ მოსთხოვოს მიწის მფლობელს შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ერგება, როგორც მესაკუთრეს და რომელიც იმავე დროს მფლობელს თავის შრომით ან მწარმოებელს კაპიტალის დახარჯვით არ შეუქმნია. ჩვენი მაგალითი რკინის გზის სადგურთან მდებარე მიწის ფასის აწევაზე შეიძლება ბევრმა საკმარისად არ მიიჩნიოს. ჩვენ მზად ვართ სხვა მაგალითებიც მოვიყვანოთ. ავიღოთ ქალაქში მდებარე მიწები და მასზე მდგომი შენობები. განა მტკიცება საჭიროა იმ უბრალო ფაქტს, რომ ცენტრში მდებარე მამული ყოველთვის მეტ მოგებას იძლევა, ვინემ იმ გვარივე მამული განაპირა კუთხეში, განა ბუნებრივად მოსავლიანი სახნავი მიწა გაცილებით მეტ შემოსავალს არ იძლევა, ვინემ იმავე ზომის და იმდენივე შრომა დახარჯული მწირი მიწა? სწორედ ისეთი მოგება, რომელიც სრულიად არ არის დამოკიდებული მწარმოებლის ნებაზე, არამედ დამოკიდებულია მის მოქმედების გარეშე მდებარე ფაქტორებზე, როგორიც არის რკინის გზებთან, ზღვასთან ან დიდ მდინარეებთან მდებარეობა, ბუნებრივად დაჯილდოვებული ნიადაგი, ქალაქებში ცენტრთან სიახლოვე (რისთვისაც დაწესებულია ქალაქის ზოლებად გაყოფა და ამ ზოლების მიხედვით ქირის განსხვავებაც) გათვალისწინებული აქვს სარენტო გადასახადს. აქედან მკითხველი დაინახავს, რომ სარენტო გადასახადს ურყევი საფუძველი აქვს და ის არც კლასობრივ პრინციპს და არც მიწის ნაციონალიზაციისას არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ ლოღიკურად გამომდინარეობს ამ პრინციპებიდან.

რაც შეეხება გადასახადების უნიფიკაციის პრინციპის მოსალოდნელ შელახვას, ესეც უბრალო გაუგებრობის ნაყოფია. ჯერ ერთი, რომ თანახმად დეკრეტისა ყველა ის პირი, ვინც მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდის, სავსებით თავისუფალია სარენტო გადასახადისაგან, და მეორე ის, რომ ძალიან ადვილია მომავალში ორივე გადასახადის შეერთება. დღესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადში უკვე არის, თუმცა სუსტად, ჩასახული სარენტო გადასახადის ელემენტებიც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უნიფიკაციის პრინციპი სავსებით იქნება დაცული.

ჩვენი საბჭოთა მთავრობა ამ გადასახადს დაუბრუნებს ისევ მშრომელ ხალხს და მოახმარს მის კულტურულ და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობა-განვითარებას.

მაგრამ შეიძლება გადასახადი იყოს სამართლიანი და [illegible] მიზანს და იმავე დროს იყოს სამძიმო. ჩვენ გვმართებს ამ თვალსაზრისითაც შევეხოთ საგანს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ წესებს, რაც გათვალისწინებულია სარენტო გადასახადის დეკრეტით, მის გამოსაანგარიშებლად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წესები იძლევიან სრულ გარანტიას ამ გადასახადის სიმჩატისას.

როგორ ხდება ეს?

ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებთან—როგორც თავში მოვიხსენიეთ—არსდება შემფასებელი კომისია, რომელიც შესდგება ადგილობრივ პასუხისმგებელ მოღვაწეებისაგან. კომისიებს ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის ცენტრალური შემფასებელი კომისია, მას ზედამხედველობს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემფასებელი კომისია, ამ უკანასკნელს კი რუსეთის ს. ს. რ. საკავშირო შემფ.-კომისია.

ადგილობრივი კომისიები აგროვებენ მასალებს, იკვლევენ საშუალო საიჯარო ფასს ქალაქში მდებარე და მაზრაში ტრანსპორტზე გადაცემულ მიწებისას, როგორც, დღევანდელს, ისე წარსულ წლებისას, თანახმად იმ ძველ და ახალ მასალებისა შემოსავლიანობის და საიჯარო ქირის შესახებ, რაც მათ განკარგულებაშია, გამოყავთ საშუალო საიჯარო ფასის წმინდა მოგება ყოველგვარ ხარჯების გამოკლებით და ვალდებულნი არიან მთელი შეგროვილი მასალა თავის დასკვნით წარმოუდგინონ რესპუბლიკის ცენტრალურ კომისიებს. ეს უკანასკნელნი ადგენენ პროექტს ამა თუ იმ განაკვეთის დაწესებისას და ისევ უგზავნიან უკან ადგილობრივ კომისიებს განსახილველად. გარჩევის და მათი შესწორების შემდეგ დაგროვილი მასალა ბრუნდება ისევ უკან და გაიარს კიდევ მთელ რიგ ინსტანციებს. კანონი თხოულობს ისეთნაირ დასაბუთებას ამა თუ იმ სარენტო განაკვეთისას, რომ ის არ შეიცავდეს არავითარ უსწორ-მასწორობას და სავსებით შეეფერებოდეს სინამდვილეს. ამგვარად, თვით რაოდენობა სარენტო გადასახადისა დამოკიდებულია ადგილობრივ ორგანოების მიერ შეკრებილ უტყუარ მასალებზე. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გადასახადი არ იქნება სამძიმო, ვინაიდან დაწესებულ განაკვეთებს და დაგროვილ ობიექტიურ მასალებს მჭიდრო კავშირი ექნებათ ერთმანეთთან. ამას დაუმატებთ, რომ სარენტო გადასახადის რაოდენობა რუსეთში ნავარაუდევია 9 მილიონი მანეთით, რაც მეტად უმნიშვნელო ციფრია გადასახადთა თვალსაზრისით. ასე რომ ამ მხრითაც სარენტო გადასახადი მისაღებია.

№.№.

ქრონიკა

— **7 და 8 ნოემბერი დასასვენებელი დღეებია.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით 7 და 8 ნოემბერი (ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავი) დასასვენებელი დღეებია.

— **გლეხთა სახლის ფონდის გასაძლიერებლათ.** 4 ნოემბერს № 3 სახლში მცხოვრებ ომის ინვალიდთა კრებამ დაადგინა თბილისში გლეხთა სახლის ასაგებათ გადასდოს ორი დღის ულუფა.

— **შრომის სახალხო კომისარიატი** განმარტავს, რომ ა/წ. დასასვენებელ დღის—8—ნოემბრის ხელფასის გაცემა სწარმოებს საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის და საქ. პროფკავშირთა საბჭოს ა/წ. ივნისის 14-ს თარიღით და № 19-ით „რევოლიუციონურ უქმე და დასასვენებელ დღეები“-ს შესახებ გამოცემულ დადგენილების მე-5-ე და მე-6-ე მუხლების თანახმად.

— **სახ. ცეკამ** დაამტკიცა ომის ინვალიდების და უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიელების დამხმარე კომიტეტის დებულება.

— **შრომის სახ. კომისარიატმა** წინადადება მისცა თბ. შრ. ბირჟას დააარსოს საშუამავლო ბიურო.

— **ელსადგურების დათვალიერება.** შრომის სახ. კომისარიატი ქუთაისის მაზრაში, ახალსენაკში და ოზურგეთში არსებულ ელსადგურების დასათვალიერებლათ ამ დღეებში აგზავნის სპეციალურ კომისიას.

— **მშენებელ მუშებისათვის.** შრ. სახ. კომისარიატმა შეიმუშავა დებულება მუშაობის დროს უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცდენათ.

— **მაზრებში მომუშავე** 30 აგრონომი გადაყვანილი იქნა ადგილობრივ ხარჯზე.

— **ტრამვაისათვის** ამ დღეებში ჩეხო-სლოვაკიიდან მიღებული იქნება 300 ცალი ბანდაჟი და 200 რესორი.

— **ტრამვაის სამმართველომ** საქ. ტყეთა სამმართველოს შეუკვეთა 4 ვაგონი ხე-ტყის მასალა მაგარი ხარისხის ტრამვაის საჭიროებისათვის.

— **დათესილი მანძილის სივრცე.** ა/კ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით საქართველოში ამჟამად დათესილია 629,400 დესეტინა მიწა, აქედან პურით დათესილია 616,000 დესეტინა მიწა.

— **შემნახველი კასები.** ახლო ხანში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან გაიხსნება კიდევ ახალი 80 შემნახველი კასა.

— **ჩაქვის სახალხო მამული.** წელს ჩაქვის სახალხო მამულში მოიკრიფა მილიონ ნახევარი გირვანქაზე მეტი ნედლი ჩაი.

— **ქარხნის საზეიმო გახსნა.** 7 ნოემბერს მოხდება უმაღლეს სახ. საბჭოს თამბაქოს მე-4 ქარხნის საზეიმო გახსნა. ქარხანაში იმუშავებს ჯერჯერობით 100-ზე მეტი მუშა.

— **რკინის ღვედები.** სახალხო მამულების ტრესტმა „ცარპაიტორგისაგან“ წინანდალის სახალხო მამულისათვის შეიძინა რკინის ღვედები ბოჭკებზე შემოსასალტავათ.

— **საკასრე ფიცრები.** უმ. ეკ. საბჭოს სატყეო ტრესტის ფოთის განყოფილება „ნოვროსცემენტისათვის“ ამჟამად ამზადებს 120 ათას კონა საკასრე ფიცარს (კონაში 24 ცალი ფიცარია).

— **ლენინგრადის პროლეტარიატის სასარგებლოდ.** მიწად-მოქ. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებმა ლენინგრადის მუშების სასარგებლოდ გადასდევს ნახევარი დღის ხელფასი.

— **ბრძოლა ექიმბაშებთან.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა სოფლად მკითხავების და ექიმბაშების ასალაგმავათ სათანადო ზომები და წარუდგინა იუსტიციის სახ. კომისარიატს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანათ.

— **მთავარ საჩვენებელ სამკურნალო** დაწესებულებებისათვის ჯანსახკომმა გადასწყვიტა შეიძინოს დიდძალი თეთრეული.

— **სასკოლო ასაკის ბავშვებისათ**ვის კბილის უფასო საექიმოთ თბ. კბილის ამბულატორიებში მოწყობილია 4 სავარძელი.

— **ჯანსახკომს განზრახული აქვს** ბაქტერიოლოგიური სადგურის გადახალისება.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 3 ნოემბერს, დილის 9 საათზე ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის სახელოსნოში მოქ. ნიკოლოზ გოგიჯანოვმა დანით დასჭრა მიხეილ გურამაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს. დაჭრილი გადაიგზავნა საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

— **თვითდაჭრა.** 3 ნოემბერს დილის 11 საათზე კადეტის შესახ. № 7, მოქ. სტეფანე პარაშინს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და დაიჭრა თავის თავი მარჯვენა ხელში.

— **დაჭრა.** 3 ნოემბერს, დილის 5 საათზე, ფალავანდიშვილის ქუჩაზე მოქ. ვლადიმერ სოხაძემ რევოლვერით დასჭრა მოქ. ტერ-ძოსესოვი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში დამნაშავე შეიპყრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

— **თავდასხმა.** 27 ოქტ. დილით საგარეჯოს საგუშაგოს ფარგლებში ნაბუდალის ბინაზე ალექსა შიოშვილს და თედო ივანიშვილს თავს დაესხნენ სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი, გაძარცვის მიზნით. მიღებული ზომებით შეიპყრეს მახმუდ ისმაილ ოღლი და ქიარიმ კადირ ოღლი. მათვე აღმოაჩნდათ ნაძარცვი.

დაჭრა. 3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე სადგურის ქ. ჩხუბის დროს დაჭრილ იქნა რევოლვერით მიხეილ ჩირქოხოვი. შეიპყრეს სერგო სედრაკოვი, ვასილ გოგუევი და სერგო ხაჩოროვი.

— **შეტაკება ბანდიტთან.** 3 ნოემბერს საღამოს 8 საათზე სისხლის სამართველოს თანამშრომელს ათაბეგოვს მოუხდა შეტაკება ბანდიტ ლადას ველი ოღლისთან. გაჩაღებულ სროლის დროს დაიჭრა ათაბეგოვი და მოკლული იქნა ბანდიტის მეუღლე ქალი ბაან კიზი. ხანგრძლივი სროლის შემდეგ ბანდიტი მიიმალა.

— **ქურდობა.** 3 ნოემბერს დილით მე 2 მოლნინის ჩიხი № 5 გაქურდულ იქნა ანაიდა ბერიანის ბინა მისივე მოსამსახურე ქალის დუნია მარტიევის მიერ.

— 1 ნოემბერს მოქ. ცეცილია მელზინას ჯიბიდან ამოაცალეს საპიორის ქ. № 30 პორთველიდან 70 მან. ეჭვით შეიპყრეს არტემ ბაბურიანცი.

მეცნიერება და ტეხნიკა

წყალქვეშა მარხილები.

დასავლეთში ამჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს ომის დროს დაღუპული გემების ამოსაღებათ. დაღუპული გემების ადგილმდებარეობის და მათი მდგომარეობის გამორკვევა მოითხოვს დიდი მანძილის გავლას წყალქვეშ. ამ საჭიროებამ გამოიწვია მეტად საინტერესო აპარატის—წყალქვეშა მარხილის გამოგონება.



წყალქვეშა მარხილი.

კაცი, გამოწყობილი რეზინის სპეციალურ ტანსაცმელში, ჯდება მარხილში და სწრაფლმავალი გემი მარხილზე მიბმული თოკით მიაქანებს მას წყალქვეშ.

მარხილს გაკეთებული აქვს ე. წ. „სიღრმის საჭე“, რომლის საშუალებითაც, მარხილი გადასრიალდება წყალქვეშ პატარა მაღლობებზე. როცა მარხილს გზაზე გარდაუვალი დაბრკოლება ხვდება, მიმართულების საჭეს საშუალებით მარხილში მჯდომი იცვლის მიმართულებას. მარხილის მოძრაობას და მის მართვას წყალქვეშ აადვილებს ის გარემოება, რომ მარხილს, ადამიანის საჯდომის გვერდით მიმაგრებული აქვს ყუთი ჰაერით ისე, რომ მარხილი მთელი თავისი სიმძიმით არ აწვება ზღვის ფსკერს. წყალქვეშა მარხილმა ძლიერ გაადვილა დაღუპული გემების ამოღების საქმე.

უზარმაზარი წყალქვეშა ნავები.

ხელსაყრელია თუ საზარალო დიდი წყალქვეშა ნავების აგება—ამაზე დაობენ მრავალი გამოჩენილი სპეციალისტები, მაგრამ დიდი სახელმწიფოები ამას ყურადღებას არ აქცევენ და მათ გააძლიერეს თავისი ფლოტები უზარმაზარი წყალქვეშა ნავებით. ამ ნავების სიდიდე ბევრათ აღემატება იმ ნავების სიდიდეს, რომლებიც დღენდი იყო აშენებული.

ინგლისში ამჟამად ამთავრებენ ერთი ასეთი წყალქვეშა კრეისერის აგებას, რომლის ტეულობა უდრის 2780 ტონას (ტონა 62 ფუთია) წყალს ზევით და 3600 ტონას წყალქვეშ.

საფრანგეთს დაკვეთილი აქვს ორი წყალქვეშა კრეისერი, რომელთა ტეულობა წყალს ზევით უდრის 3100 ტონას.

შეერთებულ შტატებში წყალში ჩაუშვეს ერთი ასეთი ნავი, რომლის ტეულობა უდრის 20 5 ტონას სისწრაფე კი 33 ვერსს საათში.

იაპონია ამჟამად აშენებს ნავებს 3000 ტონის ტეულობით და გარდა ამისა მან ცნობილ გერმანელ სპეციალისტისაგან, პროფესორ ფლამისაგან შეიძინა პროექტი უზარმაზარი წყალქვეშა ნავის, რომელიც დაცულია ორმაგი ჯავშანით და მასზე დადგმული იქნება ორი 8 დიუიმიანი ზარბაზანი.

8000 ჯიშის ხორბალი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საცდელი აგრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტმა (ლენინგრადში კრასნოდარის საცდელ სადგურის კუთვნილ მიწაზე დასთესა 5000 სხვადასხვა ჯიშის ხორბალი, დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში არსებული ხორბლეულის ნიმუშების მისაღებათ

ნათესებს განუწყვეტლივ ყურადღებას ადევნებდენ და შეისწავლეს თითეული ჯიშის აღმოცენების, ზრდის და დამწიფების პირობები.

ზამთრის განმავლობაში ინსტიტუტის ლაბორატორიაში შესწავლილი იქნება მიღებული ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა, გემოს თავისებურობა და სხვა.

შემოდგომის თესვისათვის ინსტიტუტმა კრასნოდარში გაგზავნა 3000 ჯიშის ხორბლეულის ნიმუშები.

მომავალი წლის დამლევისათვის ინსტიტუტს ექნება 8000 სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის ნიმუშები.

მუშათა ცხოვრება

რამდენხანს დაგვტოვებთ მიკიტნების ხელში?

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. როდესაც გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამა თუ იმ სოფელში თუ ქალაქში საზეიმოთ გაიხსნა კლუბი, სკოლა, კოოპერატივი და სხვ.

რა ხდება ამ დროს სოფ. მცხეთაში?

კვირა არ გავა, რომ სამიკიტნო არ გაიხსნას; საითაც გაიხედავთ ყველგან მოფენილია ახალ-ახალი სამიკიტნოები. მუშას არ შეუძლია სოფელში გაიაროს, რომ შხამიან სამიკიტნოში არ ამოყოს თავი. ამის მიზეზი, ჩვენი შეხედულებით, ორია: ერთი ის, რომ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშევროებზე მუშაობს დაახლოვებით 2,000 კაცამდე —ამდენ ხალხს შორის, ცხადია, მიკიტნები „დაიახლოვებენ“ საკმაო მუშტრებს.

მეორე ის, რომ, კარგი ხანია, ლაპარაკი დაიწყო სოფ. მცხეთის თბილისის მაზრაზე გადასვლის შესახებ, რაც ამ ბოლო ხანებში სინამდვილეთ იქცა. მცხეთის იქით-აქეთ მიწერის დროს დუშეთიც შორს დადგა, რომ ელაგმა მიკიტნები და მათი რიცხვი ერთ დონეზე დაეყენებია. ასეთ ქაოსში წვრილფეხა „შკურნიკებმა“ ჩაიგდეს ხელთ საბურთაო მოედანი და როგორც სურთ ისე იჩარხავენ საქმეს. ჩვენ იმედი გვაქვს ვისგანაც ჯერ არს მიღებული იქნება სასწრაფო ზომები, რომ ჩვენი მუშების ნამუშევარი მცხეთის მიკიტნების დახლს ასცილდეს.

ასეთ მდგომარეობას წითელი სასადილო მოუღებს ბოლოს.

მუშკორი შენ.

ასწავლეთ ზრდილობა ჩვენს მოზარდ თაობას.

(განათლების სახკომის საყურადღებოდ).

ოქტომბრის 30-ს რუსთაველის თეატრში მიდიოდა პიესა „ლავაგრა“. ბილეთები იაფ-ფასიანი იყო პროფკავშირთა წევრთათვის. არ ვიცი ამ იაფობამ გამოიწვია თუ რამ, იქ მოეყარათ თავი ბლომად მოწაფეებს — ქუდებით თავზე და პალტოებში ვერ გასჭრა ადმინისტრაციის წარმომადგენელის წინადადებამ, რომ ქუდები და პალტოები მოეხადათ. ეხლა მათი ქცევა როგორი იყო?—უზრდელური, ქუჩური სიტყვებით ერთი მეორის გამასპინძლება, ხმაურობა და ყვირილი. მივმართეთ იქვე ახლოს მსხდომებმა დაწყნარებულიყვნენ, დამსხდარიყვნენ და მოეცათ ჩვენთვის საშუალება დაგვენახა სცენა—არ იქნა. ჩვენს შენიშვნაზე „ხულიგანურ“ პასუხს ვიღებდით. განათლების კომისარიატო,—საჭიროა სხვა საგნებთან ერთად სასწავლებლებში ზრდილობაც ისწავლონ მოწაფეებმა!

თეატრის ადმინისტრაციას კი მეტი სიფხიზლე მართებს წესიერების დასაცავად.

ინფ. სადგისი.

ხელები შორს მუშის ოჯახისაგან!

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

ანდრეევის ქუჩაზე სახ. № 28-ში სცხოვრობს რკინისგზის მოსამსახურე—იაკოპაშვილი თავისი ცოლით, გაიანეთი. იმავე ეზოში სცხოვრობს ზედგინიძე თავისი კაპასი ცოლით. უნდა ავღნიშნოთ, რომ ზედგინიძე გახლავთ ძველი „ჩინოვნიკი“ არენდატორი სადგომის, რომელიც შესდგება 3 ოთახისაგან და 1 ქუხნისაგან იაკოპაშვილის ოჯახობა და ზედგინიძისა სარგებლობენ ამ ერთი ქუხნით, მაგრამ ზედგინიძის ცოლი და თვითონაც აღარ უშვებენ იაკოპაშვილის ცოლს ქუხნაში, ზედგინიძის ცოლი იგონებს სხვადასხვაგვარ მიზეზებს და არ უშვებს იაკოპაშვილს, რომ მანაც ისარგებლოს ქუხნით, ბევრჯერ შეურაცხყოფაც მიუყენებია ზედგინიძეს იაკობაშვილისათვის და ეხლაც აყენებს.

საჭიროა ამ ძველი ჯურის „ჩინოვნიკი“ ჭკუაზე მოიყვანოთ.

ტეხნიკოსი № 2.

ფაბრიკა-ქარხნებში

სპილენძის სატკ. ქარხანა.

— **ახალი ქარხკომი.** ამორჩეულ იქნა ახალი ქარხკომი, რომელიც აერთიანებს სალითონო განყოფილების სამ წარმოებას: სპ. სატკ. ქარხანას, პირველ სახ. ქარხ. და ელსადგურს.

— **მუშების საბინაო მდგომარეობა უმჯობესდება.** ვინაიდან მუშები ძალზე დაშორებული არიან ქარხანას, რაც მათ ჯანმრთელობაზე თავისებურ გავლენას ახდენს, აღმასკომი დაჰპირდა აუშენოს სალითონო განყოფილების მუშებს საერთო საცხოვრებელის მიზნით შენობა ბატარეის მოედანზე.

— **საწარმოო თათბირმა,** რომელიც მოხდა 28 ოქტომბერს, გამოარკვია, რომ ყველა მანქანები ვარგებულა; არიან ზოგნი, რომელთაც აკლიათ ნაწილები, ამისათვის თათბირმა დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები მათ შესაძენად.

კ. წ. არმიის სამხედრო ხეტყის სახერხი ქარხანა.

არ ჰყავთ საკმაო რაოდენობის მუშა-ხელი მუდმივ შტატში, რის გამო უხდებათ შრ. ბირჟიდან აიყვანონ ხოლმე დროებით სამუშაოზე, რაც აბრკოლებს და ართულებს მუშაობას. საჭიროა მუდმივი შტატის შექმნა.

— **23 ოქტომბერს** მოხდა ახალი ქარხკომის არჩევნები. **მდგომარეობა მუშებისა დამაკმაყოფილებელია,** ჯამაგირებს წესიერად ღებულობენ, ეძლევათ ავანსებიც. პირველ ნოემბერს დაიურიგდათ ჯამაგირები.

— **დაბრკოლებები.** ნედლეულს ამ ბოლო ხანებში არა რეგულიარულად ღებულობენ, რის გამო წარმოებას დაბრკოლებები ხვდება.

„გრუზშვეიპრომ“-ის 1 ფაბრიკა.

— მოწვეული იყო საწარმოო თათბირი, რომელმაც მიაქცია სერიოზული ყურადღება შრომის ნაყოფიერების და დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები მის გაზრდისათვის.

— **ერთი დღის შრომის ხელფასი** მუშებმა გადასდეს წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადის მუშებს.

— **გვიდიდებენ შრომის ხელფასს.** საწარმოო თათბირის დადგენილებით პირველ ნოემბრიდან უნდა გაუდიდონ ადგილობრივ მუშებს ხელფასი.

— **ფაბრიკაში მუშაობს 500 კაცი.** წარმოებას ფართო ხასიათი აქვს, იგი სწარმოებს სრული დატვირთვით. შენობის მხრივ ფაბრიკა სივიწროვეს განიცდის. საჭიროა შენობის გადიდება.

ინფ. ტონკა.

მართალსა სწერენ ჩვენი მუშები

(„კომუნისტ“-ის რედაქციას)

გაზ. „კომუნისტი“-ს ა/წ 19 აგვისტოს თარიღით № 187 ნომერში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით „საზიზღარი სურათი“ გაცნობებთ, რომ, როგორც კვლევა-ძიების ოქმიდან გამოირკვა მართლაც ჰქონია ამ გვარ მოვლენას ადგილი ალექსანდრეს ბაღში 16 ივლისს 4 საათზე. უზნეო ქალები პელაგია ქობულოვისა და ანნა პოდორიგონა გადმოგზავნილნი არიან, როგორც აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა № 3 დამრღვევნი და კერძო ზნეობრივი წესიერების შემლახველნი ჩემთან სამმართველოში ა/წ 17 ივლის თარიღით № 5707 და 5676. განკარგულება ჩემის მხრივ გაცემულია მსგავსი მოვლენების აღმოსაფხვრელად სასტიკი ზომების მიღებით.

მილიციის უფროსი.

გაზ. „კომუნისტი“-ს 207-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურის „საჭიროა განათება“ გაცნობებთ, რომ, როგორც კვლევა-ძიების ოქმიდან გამოირკვა ამ ჟამად სურამის ქუჩაზე მიღებულ ზომებით ყოველ ეზოს აქვს ანთებული ფარნები და სიბნელე, რაც ხელს უწყობს ბოროტგანმზრახველებს, თავიდან აცილებულია.

მილიციის უფროსი

„РАБОЧАЯ ПРАВДА“-ს მე-500 №-ის გამო

ჩვენი გაზეთის რედაქციამ შემდეგი მისალმება გაუგზავნა „რაბოჩაია პრავდა“-ს, მისი მეხუთასე ნომერის გამოშვების გამო:

„მეხუთასე ნომერის გამოშვების გამო, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია, თანამშრომლები და მუშა-კორესპონდენტები, მხურვალედ ესალმებიან „რაბოჩაია პრავდა“-ს, — თბილისის პროლეტარიატის მებრძოლ ორგანოს, რომელიც დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს მშრომელთა შორის ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშეც. საქართველოს მუშათა მასების რედაქციის თანამშრომლების და მუშა-კორესპონდენტების დაუღალავი მუშაობისა და ენერგიის წყალობით, „რაბოჩაია პრავდა“ გახდა ნამდვილად მასიური გაზეთი, მშრომელთა რევოლიუციონური ნებისყოფის და მისწრაფებათა გამომხატველი. ჩვენ გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მომავალშიც ისე მედგრად დგომას პროლეტარიატის ინტერესების, მუშათა კლასის პარტიისა და ძალაუფლების მცველის სახელოვან პოსტზე, როგორც წინათ.

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქცია.

საავადმყოფოს გახსნა გორში

დღეს, 5 ნოემბერს ქალაქ გორში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ხსნის საავადმყოფოს 30 საწოლით.

ადგილობრივ აღმასკომების სამეურნეო ხარჯზე გადაყვანის შემდეგ გორის აღმასკომს საშუალება აღარ ესწევდა თავისი ხარჯით შეენახა იქ არსებული საავადმყოფო, ხოლო ასეთი დაწესებულება ისეთ დიდ მაზრისათვის, როგორიც გორის მაზრაა, მეტად საჭირო იყო. გორის სამაზრო აღმასკომმა შესძლო საავადმყოფოსთვის მშვენიერი შენობის აგება, ხოლო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ამ შენობაში მოაწყო საავადმყოფო.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დღეს ხსნის გორის საავადმყოფოს და სრული დარწმუნებულია, რომ როგორც სამაზრო აღმასკომი, ისე მაზრის მშრომელი ხალხი მხურვალეთ შეეგებება ამ დაწესებულებას და ყოველნაირად ხელს შეუწყობს, რომ ეს საავადმყოფო თავის ორგანიზაციითა და მუშაობით სამაგალითო შეიქნეს.

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტ. პრეზიდიუმი.

ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი

(მოქ. ვ. კოტეტიშვილის ლექცია)

სამ ნოემბერს რუსთაველის თეატრში ვ. კოტეტიშვილმა წაიკითხა ლექცია ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ.

მას შემდეგ, რაც ამ საკითხის ირგვლივ მითქმა-მოთქმა შეიქნა საზოგადოების ვიწრო წრეში და მიხეილ ზანდუკელმა კი მას მისცა ჩამოყალიბებული ფორმა თავისი წიგნი ამ კითხვის შესახებ დაბეჭდვის შემდეგ, ქართული საზოგადოება დაინტერესდა ამ მნიშვნელოვანი კითხვით და შეიქნა კვლევა ძიება, თუ რამდენათ საფუძვლიანი იყო ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიმართული ბრალდება ვითომც დიმიტრი ყაზბეგის ხელთნაწერების მითვისებისა.

ამით აიხსნება, რომ ვ. კოტეტიშვილის ლექციას აუარებელი ხალხი მოაწყდა.

კოტეტიშვილი თავის ფრიად დასაბუთებულ ლექციაში, რომელიც ხუთ საათზე მეტი გაგრძელდა, ვრცლად შეეხო ალ. ყაზბეგის დახასიათებას ოჯახითურთ, გაატარა ანალოგია ყაზბეგის და შექსპირის ავტორობის შორის, შეეხო დიმიტრი ყაზბეგს, მის დას ელისაბედს, როგორც ტონის მიმცემს ალექსანდრესადმი მიმართულ ბრალდებაში. ლექტორი შეჩერდა რა მ. ზანდუკელის წიგნზე, გაუკეთა ანალიზი მის შინაარსს და მთელი რიგი საბუთებით გააბათილა ზანდუკელის დებულებანი.

ლექტორმა, სხვათა შორის, დაიმოწმა პეტრე უმიკაშვილი, მგალობლიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყველა ხელთნაწერები მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭს ეკუთვნის.

ასოთ ამწყობი სირაძე, რომელიც დღეს ცოცხალია, მონაწილეობას ღებულობდა „ელგუჯას“ ბეჭდვაში.

ამ საკითხს მკითხველი გაეცნობა დაწვრილებით კოტეტიშვილის წიგნში, რომელიც გამოცემული იქნება.

ოპონენტების გამოუსვლელობის გამო, კამათი არ ყოფილა.

ბ. კ—ძე.

საბჭოთა სასამართლო

ა. ბელსკის საქმე

ა. წ. 4 ნოემბერს ამ. საქ. ოლქის სასამართლომ შეუდგა ალექსანდრე ალექსის ძე ბელსკის საქმის გარჩევას. ბელსკის ბრალად ედება ს. ს. კ. 146 მუხ. პ. „ა“-ში გათვალისწინებული ბოროტ-მოქმედება, სახელდობრ, თავისი ცოლის ზინაიდა ვასილის ასული ბახუტაშვილის მოკვლა. საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით მკვლელობა მოხდა ეჭვიანობის ნიადაგზე და წინასწარი განზრახვით.

სასამართლოს შემადგენლობა შემდეგია: თავმჯდომარე ა. კაჭარავა, წევრნი—სურგულაძე და ქორიძე, ბრალმდებელი ტერ-არუთინოვი, სამოქალაქო ძიების წარმომადგენელი პ. ქავთარაძე, ექსპერტი-ფსიქიატრი პროფ. ასათიანი, ბრალდებულის დამცველი შ. მესხიშვილი.

პირველ სხდომაზე სასამართლომ გამოაქვეყნა საბრალმდებლო დასკვნა და დაჰკითხა ბრალდებული, რომელმაც უარჰყო თავისი დანაშაული იმ სახით, როგორც ის დახასიათებულია საბრალმდებლო დასკვნაში. მან განაცხადა რომ მკვლელობა ჩაიდინა უდიდეს მღელვარების მომენტში.

ამა წლის 7 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში
დაიწყებს გამოსვლას ყოველ-დღიური გაზეთი
„წითელი ვარსკვლავი“
ორგანო მე-2 ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა და ს. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა.
გაზეთი ღირება თვიურად 70 კ. ცალკე ნომერი 3 კ. რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქ. ქუთაისი ლიუქსემბურგის ქ. სამხედრო სტაბის შენობა

განათლების ფრონტზე

სწავლა-განათლების მდგომარეობის ნივთიერად გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის შემდეგ, განათლების კომისარიატმა ყოველ მაზრაზე განსაზღვრა სწავლა-განათლებისათვის საჭირო ფონდი. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდენად მომავალში, შემოღებულია ბარათების წესი, რომლის მიხედვით განათლების ინსპექტორები მოვალენი არიან სასწავლო წლის განმავლობაში მომხდარი ესა თუ ის ცვლილებანი სასკოლო ცხოვრებაში აცნობონ განათლების კომისარიატს.

ულუფის გადიდება.

განათლების კომისარიატმა დამდეგ სასწავლო წლიდან გაუდიდა დუშეთის მაზრას ხარჯთ-აღრიცხვა 25 ულუფით, ლეჩხუმის მაზრას კი 35 ულუფით.

სპეციალური განაკვეთები.

განათლების კომისარიატმა აცნობა ყველა მის ქვემდებარე დაწესებულებებს წარმოადგინონ სია იმ პირთა,—თანამდებობის, მუშაობის დახასიათების, სტაჟის და ცენზის აღნიშვნით,—რომელთაც უნდა დაენიშნოთ სპეციალური განაკვეთები.

ნივთიერი დახმარება მე-18 შრომის სკოლას

2 ნოემბერს მოწვეული იყო მე-18 შრომის სკოლის მშობლების საზოგადო კრება. კრების მიზანი იყო ნივთიერი დახმარება სასწავლებლისთვის და აგრეთვე ასარჩევი იყო 16 დელეგატი ჯგუფებიდან.

კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. რონიშვილი, მდივნათ ამხ. ივ. რცხილაძე. მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ტატიშვილმა, რომელმაც საზოგადოებას გააცნო მშობელთა წრის წარსული წლის მოქმედება.

შემდეგ კრება გადადის დელეგატების არჩევნებზე. თითო ჯგუფიდან არჩეული იქნა ორ-ორი დელეგატი. სულ 16 კაცი.

დელეგატებათ აირჩიეს შემდეგი პირნი: 1. კანდელაკი კონსტ., 2. ფურცელაძე ეკატ., 3. რონიშვილი დავით, 4. ალშიბაია ზინიადა, 5. კასრაძე ქრისტინე, 6. გედევანიშვილი სერგო, 7. რცხილაძე ვანო, 8. რობაქიძე მიხ., 9. ტატიშვილი დავით, 10. ქუმბაძე სოფიო, 11. ედიშერაშვილი ივ., 12. აბეიშვილი მიხ., 13. გუდიაშვილი ივ., 14. გიორგობიანი ლალე, 15. დიდიმოვა ალექს., 16. წითელარმიელი ავაკოვი მიხ.

დასასრულ კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ მე-18 შრომის სკოლა შეფობაზე აიყვანოს პოლიგრაფიულმა წარმოებამ.

მუშა ედ—შვილი.

საზოგადოებრივი სამუშაოები საქართველოში

უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებათ შრომის სახ. კომისარიატმა სცნო საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია. შრ. სახ. კომ. უკვე გამოიმუშავა საზოგადოებრივ სამუშაოთა გეგმა, რომლის მიხედვით მხოლოდ თბილისში საზოგადოებრივ სამუშაოზე გაიგზავნება არაკვალიფიკაციური შრომის 5700 უმუშევარი, რომელიც წმენდის შემდეგ ირიცხება შრომის ბირჟაში.

საზოგად. სამუშაოები თბილისში.

პირველ რიგში განზრახულია შესრულებულ იქნეს 136 კუბ. საჟ. მიწის სამუშაო, მოიკირწყლოს ქუჩები (15 ათას კუბ. საჟ.) და დაშრობილი იქნას 4.000 დესეტ. ჭაობი.

სხვათა შორის, განზრახულია ექვსი თვის განმავლობაში ამოშრობილ იქნეს საბურთალოს ჭაობები, სადაც ბირჟიდან სამუშაოდ გაიგზავნენ უბრალო მუშები და მიწის მთხრელნი მოკლე ხანში დაიწყება გზის გაყვანა ვერის აღმართიდან საქართველოს სამხედრო გზის პირველ ვერსთან მდებარე ხიდამდე. დღემდე ურმებს და სხვა საზიდ-საშუალებებს უხდებათ დიდი ძალღონის დახარჯვა აღმართზე ასავლელად. ახალი გზა მანძილს საგრძნობლად შეამოკლებს.

განზრახულია აგრეთვე მუშაობის დაწყება მუშათა უბნის—ნაძალადევის კეთილ-მოსაწყობად და თბილის-მარტყოფს შუა გზატკეცილის გასაყვანად.

მარტყოფი აწვდის ქალაქს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და შეშას, რომელიც ხეირიანი გზის უქონლობის გამო ძნელი მოსატანი ხდება და ძვირად ფასობს.

საზოგად. სამუშაოები საქართველოში.

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით კი იწარმოებს შემდეგი საზოგადოებრივი სამუშაოები: პირველ რიგში განზრახულია აჭარის წყალის ნაპირზე მდებარე ჭაობების ამოშრობა, შემდეგ იწარმოებს მუშაობა რიონის ჩრდილო რტოს ნაპირის ასამაღლებლად. და დასასრულ დაიწყება წინასწარი მუშაობა წყალსადენის გასაყვანად ქუთაისში, რომელიც 46 წელიწადია ოცნებობს წყალსადენზე. მანამდე ქალაქი ხმარობს რიონის მღვრიე წყალს; რომელიც უხვად ავრცელებს სხვადასხვა გადამდებ სნეულებას,—განსაკუთრებით დიზენტერიას და მუცლის ტიფს.

ასეთია შრომის სახ. კომისარიატისგან შემუშავებული გეგმა საზოგადოებრივი სამუშაოთა საწარმოებლად 2—3 უახლოეს წლისათვის.

ამ საქმისათვის გადადებული თანხა პირველ წლისათვის უდრის დაახლოებით 800 ათასს მანეთს.

წერილები პროვინციიდან

როგორ მუშაობს საგარეჯოს მთლიანი მომხ. საზოგადოება

1917 წლიდან საგარეჯოს თემის სოფლებში: მანავ-ნინოწმინდაში არარ არსებობდა კოოპერატიული დუქნები და მცხოვრებთ უბრალო რაიმე ნივთისათვის საგარეჯოში, 3—7 ვერსის მანძილის გავლა უხდებოდათ. დღეს ეს ნაკლი აცილებულია; საგარეჯოს „ეპი“-ს გამგეობის დაუღალავი და ენერგიული შრომით უკვე გაიხსნა ს. ნინოწმინდაში და მანავში კოოპერატიული დუქნები, სადაც გლეხებისათვის საჭირო საქონელი საკმაოთ მოიპოვება.

გ. გ—ლი.

როგორ მუშაობს სოფლის მასწავლებლობა

გამოჩინებულის თემი (ქუთაისის მაზრა)

გამოჩინებულის თემში არსებობს ორი 7 წლიანი სკოლა: ერთი სოფ. დაფნარში, მეორე—ს. ნოლაში. უკანასკნელ სკოლაში იოვლება ექვსი ჯგუფი, მეშვიდე ჯგუფი გაიხსნება მომავალში. გარდა აღნიშნული სკოლებისა, თემში სხვადასხვა სოფლებში გახსნილია ხუთი ოთხწლიანი სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი თემში უდრის 22 კაცს. პედაგოგიური საკითხების შესასწავლად სწარმოებს კოლექტიური მუშაობა, ირკვევა სხვადასხვა პედაგოგიური საკითხები, ეწყობა სანიმუშო გაკვეთილები, ინიშნება საგნობრივი კომისიები და სხვა. მასწავლებლობას სურს გამოიჩინოს ენერგიის მაქსიმუმი, რათა გადალახოს ის სიძნელენი, რომელნიც წინ უდევს ყოველი ახლის გატარებას ცხოვრებაში.

ლ. ლ—ია.

დამაფიქრებელი ციფრები

ფოთი

ა / წ. 30 ოქტომბერს ფოთის აღმასკომის სხდომაზე ჯანმრთელობის ინსპექტორმა ამხ. თურქიანმა გააკეთა მოხსენება თავის 9 თვის მუშაობის შესახებ.

მან თავის მოხსენებაში დაახასიათა, თუ რა მდგომარეობაშია ფოთის მცხოვრებლების ჯანმრთელობა. ის ციფრები, რომლებიც მან მოიყვანა, ფრიად დამაფიქრებელია.

მოვიყვანოთ ნაწილი ციფრებისა: მალარიით ავადმყოფობა უდრის ფოთში სრულ 100 პროც. სულ ფოთში ცხოვრობს 12.000 მცხოვრები, ამათში 8000 მალარიით ავადმყოფი რეგისტრაციაში არის გატარებულ ამბულატორიებთან, დანარჩენები კი ექიმობენ კერძოდ ან სხვადასხვა ექიმებთან.

ფოთის ყველა ამბულატორიებში ცხრა თვის განმავლობაში დახმარებისათვის მიუმართავთ 50.200-ჯერ. ექიმები დაზღვეულებთან ბინაზე მისულან 2.312-ჯერ, კერძო პრაქტიკა ექიმების—3.834.

ამავე ხნის განმავლობაში ფოთის საავადმყოფოში იწვა 1,000 კაცამდე.

საავადმყოფოში გარდაცვლილთა პროცენტი ცხრა თვეში შეადგენს 3,4 პროც., (ათას კაცზე 34 კაცი), აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქში სიკვდილის საერთო პროცენტი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე საავადმყოფოში.

ავადმყოფობის უმთავრესი პროცენტი ხვდება მალარიას. არც ვენერიული ავადმყოფობას უჭირავს მცირე ადგილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შარშან სიფილისით და გონორეით იყო ავად 332 კაცი, ამ რიცხვში ნახევარი ეკუთვნის სიფილისს და [illegible] გონორეას.

ეხლა ისმება საკითხი, თუ რა არის მიზეზი ასეთი ავადმყოფობისა. როგორც ვიცით ფოთს ახლო-მახლო ახლავს ჭაობი, სადაც აქვთ ბუდე კოღოებს და ზაფხულობით ისინი ავრცელებენ მალარიას მთელ ქალაქში.

მარტო საექიმო დახმარებით ჩვენ ვერაფერს გავხდებით. ჭაობების ამოშრობა დაიწყებს ქალაქიდში შარშან, მაგრამ ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა და ისეთი ნელი ტემპით მიდის მუშაობა, რომ მას დასჭირდება ათეული წელიწადი.

რომ დავიცვათ მცხოვრებლები ამ სენისაგან, საჭიროა საქმის დაჩქარება. აგრეთვე აუცილებელია ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღოს ყოველივე ზომები და დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებას, თორემ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს მატერიალური საშუალება მიიღოს თავის-თავზე ეს დიდი მნიშვნელობის საქმის გაკეთება.

ფოთი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ სამრეწველო რაიონს და საჭიროა აქ მცხოვრები მუშების და მცხოვრებლების ჯანმრთელობას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

საექიმო დახმარებაში აუარებელი თანხა იხარჯება, ყოველივე ზომებს ღებულობს აღმასკომი, დამზღვევი კასა და სოც. უზრ. გან-ბა. ავადმყოფებს დროზე აწვდიან წამლებს: ამაზე იხარჯება აუარებელი თანხა, საჭიროა სხვა ზომების მიღებაც. ეს ზომები უნდა გამოიმუშავს და გაატაროს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად.

პ. მ.

საქრ. ამხანაგობა ღარიბ გლეხობას ეხმარება

საგარეჯო (გარე-კახეთი)

საგარეჯოში უკვე ერთი თვეც არის დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, რასაც მშრომელი გლეხობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობას თანხა ცოტა ჰქონდა მიცემული, სულ ხუთი-ათასი მან., მან მაინც შესძლო ასოცი გაჭირვებული გლეხის დაკმაყოფილება.

გ. გარსიაშვილი.

დასასვენებელი სახლი თელავის მუშებისათვის

თელავში და მის მაზრაში 1500 მუშა-მოსამსახურეთაგან მხოლოდ 10 კაცმა ისარგებლა სანატორიუმით, 9—ახტალით და ოთხმა დასასვენებელ სახლით.

ეს რიცხვი მეტად მცირეა. გარდა ამისა თელავის მუშა-მოსამსახურენი უფრო საჭიროებენ დასასვენებელ სახლებს, ვინაიდან შვებულებებს, რომლითაც ისინი სარგებლობენ ყოველ წელს შინვე საქმიანობაში ატარებენ, უსარგებლოთ ჯანმრთელობისათვის.

აი, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს იმ დაწესებულებებმა, რომლებიც ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე—პროფკავშირთა ბიურომ და დამზღვევმა სალარომ.

საკითხი დაისვა დასასვენებელ ადგილზე და ბინაზე. თელავში კაცი ვერ დაისვენებს ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობით და არც საკმარისი ბინებია, ახლო-მახლო სოფლებიც კახეთში შეუფერებელია მოწყობილობის და ჰავის მხრივ, ისე, რომ თუ ის შენობები არა, რომელიც უძლვნა თელავის აღმასკომმა საჩუქრად მუშებს, შესაძლებელია ეს საჭირო და აუცილებელი საქმე ვერ განხორციელდებოდა.

ეს შენობები მდებარეობენ შუამთაში (შუამთის მონასტერში) თელავიდან 6 ვერსის მანძილზე, ადგილ-მდებარეობა საუცხოოა, იქვე გადმოჩუხჩუხებს ცივი ანკარა წყარო, სხვა პირობებიც ხელს უწყობენ ადამიანის გაჯანსაღებას და ამიტომაც არის, რომ ყოველ ზაფხულს თელავიდან ბევრნი მიდიან ხოლმე და სრულებით განკურნებულნი ბრუნდებიან.

აი, ამ ადგილას მდებარეობს აღმასკომის მიერ მუშებისადმი მიძღვნილი ორი დიდი ორსართულიანი შენობა სადაც პროფბიურო და დამზღვევი სალარო ფიქრობენ მოაწყონ დასასვენებელი სახლი. სახლი მოწყობილი იქნება დაახლოებით 40 მუშა-მოსამსახურისთვის და მთელ სეზონში გაივლის 120 მუშა ქალი და კაცი.

ამ საქმის განხორციელებით თელავის მუშათა კლასის დიდ უმრავლესობას საშუალება მიეცემა ისარგებლოს ამ სახლებით, შვებულების დროს იქ დასასვენებლად გაგზავნით, აღადგინოს თავის ჯან-ღონე და შემდეგ მეტი შრომის ნაყოფიერება გამოიჩინოს შრომაში.

ვ. პ.

პროვინციის ქრონიკა

— **ქვაფენილ ს დაგება.** თელავის აღმასკომი შეუდგა ბაზარში ქვაფენილის ხელახლად დაგებას. ძველი ქვაფენილი ძლიერ იყო დაზიანებული და მიმოსვლას დიდათ აბრკოლებდა.

— **ლენინგრადის დასახმარებლად.** თელავის პროფკავშირების წევრთა შორის ამჟამად სწარმოებს ლენინგრადში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულების მოგროვება.

— **კოოპერატივის ფურნე.** თელავის „ეპომ“ მიიღო ერთი ვაგონი თეთრი ფქვილი და დაიწყო პურის ცხობა. ერთი თვეა თეთრი პური არა ცხვებოდა თელავში.

— **შაქარი არა გვაქვს.** თელავში შაქარი კარგა ხანია გამოილია. „ეპოს“ ჰმართებს მიაქციოს ამას ყურადღება.

— **ახალი სკოლა.** შაშიანში (თელავის მაზრა) გაიხსნა ცხრაწლიანი შრომის სკოლა, რომლითაც სარგებლობენ ახლომდებარე სოფლები—[illegible], კალაური და შრომა (ლაჩნაძიანი).

— **ქორეისუბნის სახ. მამულში.** (დღევანდელი ვაზის უბანი. ქუთაისის მაზრა) განახლებულია 100 ათასი რქა ვენახი, მომავალ წლეებისათვის გაიზრახულია 300,000 ძირი ვენახის მოშენება.

— **მუშათა სახლები სენაკში.** სენაკის სამაზრო აღმასკომმა მიზანშეწონილათ სცნო მუშათა სახლები აღმშენებლობის დაწყება და ამ მიზნით არა მშრომელ ელემენტების დაბეგვრა.

— **გლეხთა სახლი ბორჩალოში.** ბორჩალოს სამაზრო აღმასკომი შეუდგა გლეხთა სახლის აგების საქმეს.

— **ღარიბი მოწაფეები.** რაჭის აღმასკომმა ონის ცხრაწლედში მოსწავლე 10 ღარიბესი მოწაფე აიყვანა თავის ხარჯზე.

— **ახალქალაქის მაზრაში** შესდგა ლენინგრადის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

— **კოოპერაციის გაძლიერებლათ.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა კერძო პურის საცხობები გადასცეს ადგილობრივ კოოპერატივს.

— **საექიმო პუნქტები** გაიხსნა სოფ. ღებში და ჭიორაში რაჭის მაზრის აღმასკომის ხარჯზე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„ტოსკა“.

მომღერალმა სედენკომ (ფლორია ტოსკა) თავისი პარტიის მთელი დრამატიული მხარე გამოხატა სიმღერაში. საუცხოოდ ჟღერდა მთელი ოპერის განმავლობაში მომღერალის მშვენიერი ხმა. მეტად ლამაზი იყო ყველა პათეტიური ადგილები. საუცხოოთ იყო შესრულებული ტოსკას ლოცვა,—მაგრამ პარტიის სცენიური მხარე არ გასცილებია ჩვეულებრივ საოპერო ტრაფარეტს. აქ საჭიროა დიდი და დეტალური მუშაობა.

ნორიო კოვარადოსის პარტიაში მტკიცე ვერ იყო სტრუკოვ-ბარათოვი. მსახიობს ჰქონდა კარგი მომენტები, მაგრამ საერთოდ შესრულება მკრთალი გამოვიდა.

ალექსაშინი სკარპიოს პარტიაში მეტად აჩქარებული და თავშეუკავებელია. ასეთი დახასიათება არ შეეფერება სკარპიოს ისტორიულ სახეს. ვოკალური მხარე კარგათ იყო შესრულებული, განსაკუთრებით პირველი არია. მკრთალია დიალოგი.

კარგები იყვნენ დემიანენკო, კურბატოვი და ქურხული.

ფალიაშვილს ლამაზათ მიჰყავს ორკესტრი და სცდილობს მუსიკით დაასურათოს დრამის განვითარება.

კარგათ მღერის გუნდი, განსაკუთრებით მეორე აქტში.

სუსტია სარეჟისორო ნაწილი, განსაკუთრებით სკარპიოს მოკვლის და ფლორიო ტოსკას თვითმკვლელობის სცენაში.

პ. ბ.

— **ბარონკინას მოწვევა ოპერაში.** სახელმწიფო ოპერის დირექციამ ოპერის დასში მოიწვია ცნობილი მომღერალი ქალი მეცო-სოპრანო, ბარონკინა. პირველად იმღერებს კარმენში.

— **ი. ზარდალიშვილის იუბილე.** მიმდინარე სეზონში მსახიობთა ახალ კავშირის საბჭოს დადგენილებით მსახიობ ი. ზარდალიშვილს ქუთაისში გაემართება 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

— **სანიტგანათლების წარმოდგენები ჯარისათვის.** 12 ნოემბერს სანიტგანათლების სახლში გაიმართება უფასო წარმოდგენა სანიტგანათლების შინაარსის ქართული ჯარის ნაწილებისათვის, წარმოდგენილი იქნება სანიტგანათლების ანტირელიგიური პიესა „ბატონები“.

— განათლების თეატრში ყოველკვირაობით და ოთხშაბათობით პროფკავშირების წევრებისთვის გაიმართება უფასო წარმოდგენები. ვიქტორ გამყრელიძის რეჟისორობით.

საქართველოს კინო-მრეწველობა „ხაჯი-მურატ“-ი.

რეჟისორ პერესტიანის ხელმძღვანელობით დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა კინოფილმის „ხაჯი-მურატის“ დასადგმელათ. სურათი გადაღებული იქნება ლ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით.

„შრომის ფრონტზე“.

დაიწყო მზადება კინო-ფილმის „წითელი ეშმაკუნების“ გაგრძელების—„შრომის ფრონტზე“-ს დასადგმელათ.

სურათს სდგამს რეჟისორი პერესტიანი.

წუწუნავას მიწვევა.

ქართული სურათების დასადგმელათ მიწვეულია რეჟისორი ალ წუწუნავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 33.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 18.

კერძო ფაბრიკებში თამბაქოს სრულად გადამუშავებისათვის სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. ს ბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1 ის თამბაქოს ფაბრიკა ამიერ-კავკასიის სოც ფედ საბჭ რესპ. ტერიტორიაზე (წვრილ ფაბრიკის გამოკლებით), რომელიც ეკუთვნის კერძო ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან მათ მიერ იჯარით არის აღებული, მოვალეა ნახევარ წლის განმავლობაში გადაამუშაოს მოსაწევ თამბაქოდ და პაპიროსად ფოთოლ-თამბაქოს არა ნაკლებ 5.000 კილოგრამისა. ის ფაბრიკა, რომელიც არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, უნდა დაიხუროს და შეიძლება გაიხსნას შემდეგ ნახევარწელს, უკეთუ სრულიად შეიტანს აქციზს წინა ნახევარ-წელში გადაუმუშავებელი ფო[illegible] განაკვეთის შემდეგი ანგარიშით: ერთ გირვანქა თამბაქოზე—1 მან. და 70 კაპ., ან ერთ კილოგრამ თამბაქოზე—4 მან და 15 კაპ.

2. წესებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაადგენს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

3. ვადა ამა დადგენილების ძალაში შესვლისათვის დადგენილ და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ იმ გაზეთებში, რაც აღნიშნული ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მაისის 7-ს დადგენილებაში (ა. კ—ის ს. ფ. ს. რ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 98.).

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი ნ. სოკოლსკი.

პარტიული და საბჭოთა ქრონიკა

პარტიული

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე სკ. კომპარტიის ცკ-ის პარტიის ბინაზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: 1) მ[illegible], 2) ცხაკაია მ., 3) [illegible], 4) ჩოდრიშვილი მ., 5) ალაჯალოვა ნ., 6) [illegible], 7) [illegible], 8) სტურუა გ., 9) დუმბაძე ლ., 10) ბოლქვაძე ვ., 11) ჩხეიძე [illegible] თბილისის ორგანიზაციის წარსული მუშაობის მოგონებათა სტენოგრაფიულად ჩასაწერად. დასწრება სავალდებულოა პარტიული წესით.

პარტისის გამგე ხ. თალაკვაძე.

საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში 10-დან 2 საათამდე ამხ. კოგუაიანთან:

ფრანგულიანი ი., ტერ-ავეტიკიანი გ., საბაშვილი მ., ორახელაშვილი მარიამ, მეტმარიაშვილი მ., მდივანი ს., მიქაძე ა., ლოპანაშვილი გ., ლენენსკი ა., კონჩევსკი კ., კუჭაიძე მ., იგნატოვი ვ., იერომაშვილი ნ., იტრიევი ვ., ერქომაიშვილი ა., გრანიკ მ., ბეიასანოვი ა., არხიმანდრიტოვი კ., ჩიხლაძე, ივანიშვილი ნ., დოლიძე ს. და აგამალოვი მ.

თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ დღეს ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ბინაზე შესდგება სხდომა იმ კომისიის, რომელიც ამოწვევს მაზრაში სამუშაოდ გასაგზავნად მობილიზაციით გაწვეულებს არსენალის რაიონის უჯრედებიდან და აგრეთვე ლენინის, ავლაბარ-ხარფუხის და ქალაქის რაიონების უჯრედთა იმ წევრების, რომლებიც არ გამოცხადდენ კომისიის სხდომაზე 3 ნოემბერს.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ კომისიის წევრები: **ჯორბენაძე, კოსტანიანი, ხაცკევიჩი, ლიცინოვი, სააკოვი, ფანცულაია, ვართაპეტოვი, ფირცხლოვი, ლომიძე, კოზმოვი, აკოპოვი, ისააკოვი, მაშკევიჩი, მელაძე და კორეივო.**

ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის ძალით:

არსენალის რაიონი:

ღლონტი მოსე, კელეპტრიშვილი ვასო, სიკინჭილაშვილი არტემ, პაპავა ალექსანდრე, კუროიანი ოგანეს, ხარაბავა პატულია, მახარაძე ალბ., მირონაშვილი გიორგი, აბაშიძე ტრიფონ, მიკირტუმოვი გრიგოლ, მაისაშვილი გიორგი, ცინცაძე ალექსანდრე, კალანდაძე გერასიმე, მანაგაძე ფილიპე, კამარაული ალექსი, ეზიაშვილი კასიანე, თიკანაძე ლევან, მახარაძე ნინა, ჭელიძე ემელიან, ტრაპაიძე პალადი, მელუა გიორგი, კანდელაკი გიორგი, შენგელია მალაქია, კიკვაძე გიორგი, დოლიძე სიმონ, თხილავა დომენტი, სერაძე ლეონტი, ძაძამია ივანე, მაისურაძე შალვა, კალანდაძე სიმონ, ილურიძე გაბო, გაბიავაძე სერგო, პაპანიანი, არმაის, ლაფანაშვილი გიორგი, მიქელაძე გიორგი, ბასილავა ავქენი, მოურნელიძე გრამიტონ, კიკნაძე გიგო, თარხანოვი გიორგი, ასცატუროვი.

ლენინის რაიონი:

გოგიაშვილი, ბარამიძე პროკოფი, მებონია მიხეილ, კერესელიძე გალაქტიონ, არზუმელაშვილი ლევან.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი:

ჩარკვიანი ალექსი, გასან საბრი, ბაირამოვი მამედ, ცინცაძე პარმენ, ციბი ალპერტი, ჯორბენაძე.

ქალაქის რაიონი:

მინასიანი—უჯ. 35, მიცაბერიძე—უჯ. 36, პოლოსოვი—უჯ. 36, მირიანაშვილი—სახ. პოლიტექ. ინსტიტუტის უჯრედი, გოგოტიშვილი—უჯრ. 33, ჯაფარიძე—უჯ. 36, კართანოვი—უჯრ. 8, ბეჟანაშვილი—უჯ. 2, გაბუნია—უჯ. 28, ჩეჩელაშვილი—უჯ. 6, რაქახაშვილი—უჯ. № 6, იაშვილი—უჯ. 39, კალაძე—უჯ. 39.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

თბილ. ორგ. არსენალის რაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, შუადღის 3 საათზე მასწავლებელთა ადგილკომის შენობაში (ანდრეევის ქ. № 42.) შესდგება მასწავლებელთა კრება კომუჯრედის მოსაწყობად.

წინადადება ეძლევა ქვემო დასახელებულ ამხანაგებს უეჭველათ გამოცხადდენ: 1. მიკირტუმოვ გიორგი, 2. ტრაპაიძე პალადი, 3. პოლოსოვ ნიკოლაი, 4. ქებურია ლეონტი, 5. ბოლქვაძე ნინა. 6. ბელქანია იროდიონ, 7. ქურიძე ნოე, 8. კარაბინოვა სოფიო, 9. ქვაშილავა გიორგი, 10. შატბეროვა სოფიო, 11. ჭავჭანიძე—მხეიძე.

მდივანი მაშკევიჩი.

თბილ. ორგ. არსენალის რაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი, არსენალის რაიკომის კომუჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება აგიტპროპის მუშაობის შესახებ უმაღლოზელეს დროში. 2. მოხსენება საორგ. განყოფილებისა. 3. ლენინელებზე. 4. კომუჯრედების მდივნებისა, დელეგატების და ბიუროების გადარჩევის შესახებ.

რაიკომის წევრებისა, კანდიდატებისა და კომუჯრედების მდივნებისათვის დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მაშკევიჩი.

ს. კ. პ. თბილ. ორგ. ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა კომუნისტ-ქალებს, რომელნიც აღრიცხულნი არიან ქალაქის რაიკომში, უეჭველათ გამოცხადდენ რაიონის ქვე-განყოფილებაში სარეგისტრაციოდ ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 5—8 საათამდის.

სტ. საინფორ. განყ. გამგე ისაკოვი.

სახელ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს საღამოს 4 საათზე მოწვეულია უნივერსიტეტის კომ. უჯრედის და კომ. კავშირის გაერთიანებული კრება უნივერს. შენობაში განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები,

დასწრება პარტ. დისციპლინის ძალით ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

კომ. უჯრედის ბიურო.

ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, გზათა განყოფილების მე-6-ე უბნის კლუბში შესდგება ლენინის რაიონის პარტიული სადელეგატო კრება.

დღის წესრიგში: 1. ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება. 2. პარტიის წევრობის კანდიდატთა დამტკიცება. 3. მიმდინარე საქმეები

ლენინის რაიკომის მდივანი: ფანცულაია.

ღრმად დამწუხრებულნი გრიგორი გულისაშვილი შვილებით: ახია, ლარისა და ნიკოლოზი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ, და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას მათი საყვარელი დაუვიწყარი მეუღლისა და დედის

ოლღა გრიგოლის ასულის გულისაშვილის

დაკრძალვის დღე ხუთშაბათს, 6 ნოემბერს დღის 2 საათზე გოგოლევის ქ. № 68 ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა)

გულმოკლულნი ანნა [illegible] და გაიოზ ხომერიკები აუწყებენ, ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს მათი საყვარელ და დაუვიწყარ დედის, სიდედრის და ბებიის

ოლღა გრიგოლის ასული გულისაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს 6 ნოემბერს დღის 2 საათზე გოგოლევის ქ. № 68. ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა)

1—1 2634

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამი, შვილები: ოლღა, სერგო, მიხეილ გრიგოლ და ალექსანდრე, რძლები: დარიკო, მარიამი, ოლღა და ელენე მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 ნოემბერს ქ. ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა

ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილი

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში 6 ნოემბერს

1—1 2634

ლავრენტი ივანეს ძე წულაძის

გარდაცვალებიდან წლის თავზე, ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, სოფ. ქანქათში გადახდილ იქნება პანაშვიდი, რასაც აცნობებენ ნათესავებსა და განსვენებულის პატივისმცემელთ მეუღლე მინა, შვილები: სოფიო, კატო, ბაგრატი, სოკრატი და მარო, ძმები: აპოლონ და ათინოგენი აპოლონ და ცოლშვილით, დები: ქეთევან და გალინა და სიძე ლაზარე ძმისტა რაშვილი

1—1 2632

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ნიკოლოზი და ლევანი მარსაგიშვილები აუწყებენ, ნათესავთ, მეგობართ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ უდროვოდ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ძმა

ვლადიმერი მარსაგიშვილი

(ვალოდია მარსაგოვი)

გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან ელისაბედის ქუჩა № 212, ოთხშაბათს, ხუთ ნოემბერს 3 ნახ. საათზე. დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე

2—2 2630

უბედური დედა ილიტა ადამის ასული კორაკაშვილისა, დები: ელენე, ნატალია, მათიკო და თამარა, ძმა გიორგი, სიძენი: სევერიანე ნესტორის ძე ფალავა, იოსებ გიორგის ძე ყიფიანი, დავით ალექსის ძე მიქელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთი ძვირფასი

ვერას

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ოთხშაბათს, ნოემბრის 5-ს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს შენობაში. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოს შენობიდან ხუთშაბათს, ნოემბრის 6-ს საღამოს 4 საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 2638

უახლოეს ხანში ქალ. თბილისში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მეურნეობა“

(ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის და ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანო)

ა. მ. ნაზარეტიანის საერთო რედაქციით.

რედაქცია მიზნათ ისახავს: მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების და ხერხების შესწავლას და გაშუქებას, ანალიზს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და უწყებების მიღწევებისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისა და შრომის და წარმოების პროცესების რაციონალიზაციის საქმეში, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის იდეების პროპაგანდას; შრომის მეცნიერული ორგანიზაცია არის პრაქტიკული სისტემა მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამასთანავე ჟურნალი ყურადღებას მიაქცევს ბაზრის (განსაკუთრებით გლეხური ბაზრის) მოწესრიგების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სოფელთან კავშირის დამყარების საკითხებს.

ამასთან ერთად ჟურნალი გააშუქებს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის, ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების მ. გ. ი. მიმდინარე მუშაობას.

ხელის მოწერის პირობები.

თბილისში—სახლში მიტანით:

1 თვით. . . . 50 კაპ.
6 თვით. . . . 3 მან.

საბჭოთა კავშირში—გადაგზავნით.

1 თვით. . . . 55 კაპ.
6 თვით. . . . 3 მ. 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში, თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 19, და აგრეთვე კომერციული სააგენტოს „კავშირი“-ს ყველა განყოფილებებში, რომლებიც არსებობენ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებთან. 2—1

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს
პირველად ამ სეზონში „გმირი“

პარასკევს, 7 ნოემბერს
პირველად ამ სეზონში „ცხვრის წყარო“

139 4—2
დადგმა კ. მარჯანიშვილის

ექიმი
ს. ა. გალუსტიანცი
შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე [illegible] ტრიპერი, სიფილისი [illegible]
ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ. 77 მეორე სახლი კირკის კუთხიდან.
25—25 ქ. № 2320

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 5 ნოემბერს,
„ევგენი ონეგინი“
3—3 ნ. № 133

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალიარიის სპეციალური ექიმობა 914 შემხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჭვრეტა, სურათის გადაღება და ექიმობა
რენტგენის სხივებით
მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ქ. 2507 13—9

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტების სნეულებათა მკურნალობა
ელექტრო-სინათლით ■ ■
■ ■ სამკურნალო კაბინეტი
მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.
(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2
ქვ. № 2531—29—10

საშუალო
საექიმო ტეხნიკუმი
ქართულ ენაზე
გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტთან. განცხადებების მიღება გაგრძელებულია ამა თვის 15-დის
მისამართი: კამოს ქ. № 51 (ყოფ. დიდი მთავრისა).
№ 2641

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარხონმალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
№ 2095—25—13

საფეიქრო ზეთ-სახდელ საპნის ტრესტი
ტფილისი, ორთაჭალა, კომუნალური ქ. № 119. ტელ. 14—28.
ყიდულობს
ჩვარს (თხელი)
და ნაჭრებს
2644 2—1
დირექცია.

1 ნოემბრიდან დაიწყო მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ
პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის
საბუხჰალტრო კურსებზე
კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)
მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუხჰალტრების ხელმძღვანელობით.
მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე ბუხჰალტერიის საფუძვლებს (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიანურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სამომხმარებლო-საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუხჰალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საქონელთა აღმწერლობას და სავაჭრო კორესპონდენციას (მიმოწერას).
მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგნის პრაქტიკულად შესწავლას.
ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 6, ს. თავართქილაძესთან და კურსებზე (კეცხოველის ქ. № 12, საღ. 5—8 ს.)
ნის. 137 3—2.

დაკარგე დამზღვევ კასის წიგნი ქსენია მოსეს ასულის ჯორბენაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2648

დაკარგე კავშირის წიგნაკი კარაპეტ გიორგის ძე ჯავახოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2642

დაკარგე პროფკავშირის მიერ მოცემული წიგნაკი № 162 დიანოზი პერტაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2631

დაკარგე საწევრო წიგნაკი მოცემული ქიათურის სამთო მადნო პროფკავშირის მიერ № 2836. ჩაითვალოს გაუქმებულათ. პავლე ბლიაძე. 1—1 2639

დაკარგე პასპორტი, მიღებული ბათომის მილიციისაგან—1922 წ. მაკარ გიორგისძე ცინცაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2637

დაკარგე სიმწიფის მოწმობა, გაცემული ხაშურის ტეხნიკუმისაგან და სააღრიცხვო ბარათი, სამხედრო კომისარიატისაგან მოცემული ივანე ფხალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2636

დაკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული კომუნ. წყალსადენის მიერ ზურაბ ლოლობერიძის სახელზე, კომუნალურ მეურნეობის კავშირის წიგნაკი და ტრამვაის წლიური ბილეთი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2633

დაკარგე მოწმობა, მოცემული იმის შესახებ, რომ ჩემი პირველი მამის გვარი იყო მელაშვილი და შემდეგ 1915 წლიდან ვატარებ მამინაცვლის გვარს, ეთერი დავითის ასული ანდრონიკაშვილისას. 1—1 2535